სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 21 აგვისტო 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". რედაქცია ვერ მიიღებს. გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 176 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 176

## გაერთიანებისაკენ

აფხაზეთიდან მიღებული ცნობებით [ი]ქ ერთგვარი სახელმწიფოებრივი გა[და]ტრიალება მომხდარა: აფხაზეთის [ერ]ოვნული საბჭო დათხოვნილათ გამო[უ]ცხადებია მის დემოკრატიულ ნაწილს, [რ]ომელსაც მიმხრობიან საბჭოს ზოგიერთი წევრები და ამგვარათ ეროვნულ [ს]აბჭოს უმრავლესობა დარჩენილა ისევ [ე]რთვა გამგეობის სათავეში.

მაგრამ დღევანდელი უმრავლესობა [ს]რულიად არა ჰგავს ძველ საბჭოს: იქ, [ძვ]ელ საბჭოში, მემამულეთა წოდება იყო გაბატონებული, ამ წოდების [პ]ოლიტიკა კი არსებითად ყველგან და [ყ]ოველთვის ერთგვარია. აფხაზეთის [ერ]ოვნული საბჭოც ორ სკამზე ჯდომას [ც]დილობდა: სანამ ბალშევიკების შიშს [ქვ]ეშ იყო, საქარ. რესპუბლიკ. დადებულ [ხე]ლშეკრულობას მტკიცეთ იცავდა, ხოლო როცა ამ შიშმა განვლო, აფხაზეთის [ს]აბჭო აშკარათ დადგა ოსმალეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

საქართველოს რესპუბლიკას არ შეეძლო გულგრილათ ეცქირა აფხაზეთის [ს]აბჭოს ღალატისათვის, მაგრამ საკითხის გადაჭრა თვით აფხაზეთის ხალხმა [ი]კისრა: მან გარეკა თურქოფილური საბ[ჭ]ო და ამით ლაგამი ამოსდო მემამულეთა გახსნილ მადას.

რას ამბობს აფხაზეთის დემოკრატიის წარმომადგენელი ახალი ეროვნული საბჭო? ის აღიარებს თავის თავს აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ორგანოთ და კისრულობს მთელი ხალხის ყრილობის მოწვევას.

ამავე დროს აფხაზეთის ახალი ეროვნული საბჭო აღიარებს, რომ ის კავშირს დაიჭერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ამ რესპუბლიკის საზღვრებში შევა, როგორც მისი ნაწილი.

ჩვენ ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე ვდგევართ და ამიტომ დამშვიდებით შევხვდებით აფხაზეთის ხალხის ნება-სურვილებს. ჩვენ მხოლოდ საჭიროთ ვთვლით, რომ ხალხმა თავისუფლათ გამოსთქვას თავისი ნება-სურვილები. ეჭვი არ არის აფხაზეთის ხალხი ოსმალეთის ორიენტაციას დაგმობს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუჭერს მხარს. კითხვა სწორეთ ასე სდგას: ოსმალეთი თუ საქართველო. აფხაზეთს რომ დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია, ამას ყველა გრძნობს. დიდი სახელმწიფოები და ერები ცდილობენ ერთ კავშირში შესვლას და რა იქნება პაწაწა აფხაზეთი.

ჩვენი ვალია დავეხმაროთ პატარა აფხაზეთის დემოკრატიას. უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ პირობების მიხედვით უნდა განვახორციელოთ აფხაზეთში მიწის რეფორმა, რომ ამ გზით მტკიცეთ დავიცვათ გლეხობის ინტერესები.

აფხაზეთის დემოკრატია ვერ დაადგება ავანტიურის გზას და სრულს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გადაქცევას არ შეუდგება. ამის ძალ-ღონე მას არ აქვს. მაგრამ დეე, ჩვენ ვცდებოდეთ, დეე ხალხმა შესძლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა: ამ შემთხვევაში ჩვენ ძმურ კავშირს დავიჭერდით მასთან.

მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უფრო მოსალოდნელია, რომ აფხაზეთი, თუ კი იქ დემოკრატია გაიმარჯვებს, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში დარჩება.

ჩვენი ვალია ძმური ხელი გავუწოდოთ ამ დემოკრატიას და მასთან ერთად ვზიდოთ საერთო უღელი.

## საუბარი ევ. გეგეჭკორთან

ევგენი გეგეჭკორმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინიდან დაბრუნდა, შემდეგი გვიამბო:

10 ივნისს ჩვენ მ ვიღეთ მომართვა ოსმალთა მთავრობისა, რომ სტამბოლში მოწვეულია კონფერენცია, რომელზედაც უნდა გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელიო; მომართვაში იყო ნათქვამი, რომ იქ უკვე ჩამოყრილია ყველა წარმომადგენლები და თქვენ გიცდიანო. ჩვენმა მთავრობამ იქონია ამ საკითხის შესახებ მსჯელობა და გადასწყვიტა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები. ჩვენ საჩქაროდ გავედით აქედან 13 ივნისს. 19 ს სტამბოლში ვიყავით. 20-ს შევუდექით მუშაობას. პირველად ჩვენ მოვინდომეთ ჩვენი ბერლინის დელეგაციასთან კავშირის დაჭერა. იქიდან მივიღეთ ცნობა, რომ ბერლინში არ იციან, თუ როდის და სად უნდა მოხდეს კონფერენცია. იციან მხოლოდ, რომ კონფერენცია მოხდება. მესამე დღეს ჩვენ ვინახულეთ ოსმალეთის მინისტრთა თავმჯდომარე, მინისტრები: საზღვაო, საგარეო და იუსტიციის. ჩვენს მათთან შეხვედრას თუმცა დარბაზობის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ გაკვრით პოლიტიკურ საკითხებსაც ვეხებოდით. კონფერენციის დროს შესახებ არავინ არაფერი გადმოგვცა. ჩვენ უფრო გვაინტერესებდა კონფერენციის სახე. ისინი ამბობდენ, რომ კონფერენცია შესდგება ჩრდ. კავკასიის, ოთხთა კავშირის და ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგანო.

როგორც გამოირკვა, ოსმალთა მთავრობა კონფერენციის ადგილს დიდს მნიშვნელობას აძლევს. ბულგარიის გაზეთებში ოსმალურ გაზეთებიდან ამონაწერი იყო გამოქვეყნებული, სადაც ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთის პოლიტიკა ამიერ კავკასიაში სტამბოლის კონფერენციაზე სანქციას პოულობსო. ჩვენ ვინახულეთ გერმანიის ელჩი. მან გვითხრა, რომ ჩვენ გვინდოდა ჩვენი ინიციატივით მოგვეწვია კონფერენცია, მარტო საქართველოს საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ ოსმალეთმა მოისურვა ადერბეიჯანის და სომხეთის საკითხიც დასმულიყო და ჩვენც დავეთანხმეთ. ამასთან ელჩმა განაცხადა, რომ კონფერენცია უნდა დადგეს ბრესტის ხელშეკრულობის ნიადაგზე.

პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენს ჩასვლას სტამბოლში; მოწინავე წერილებსაც კი სწერდენ ჩვენს შესახებ. ერთ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „ევგენი გეგეჭკორის დელეგაცია". მე პრესას ჩასვლისთანავე განვუცხადე, რომ ჩვენი ჩამოსვლა ბათუმის ხელშეკრულების რევიზიაა, რადგანაც ჩვენ არა ვართ ამ ხელშეკრულობის თანახმა და კმაყოფილი. შემდეგ ვინახულეთ ბულგარიის ელჩი: მან განაცხადა, რომ ბრესტის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დარჩეს ძალაშიო. მისი დარღვევა ჩვენს საქმეებს (მოკავშირეების) სავსებით არევ დარევსო. თუ შეიძლება იდეალური კავშირი, ეს შესაძლებელია განვახორციელოთ საქართველოსთანო.

ამის შემდეგ ჩვენ გავმართეთ თათბირი კონფერენციის შესახებ. ოსმალეთი ფიქრობდა, რომ კონფერენცია უნდა მომხდარიყო სტამბოლში, ეს მას მიაჩნდა მისი პოლიტიკის სანქციად ამიერკავკასიაში, და მომხდარიყო რაც შეიძლებოდა დაჩქარებით. ჩვენმა დელეგაციამ მიიღო დადგენილება, რომ მოლაპარაკება გვეწარმოებია ცალ-ცალკე სხვადასხვა სახელმწიფოს შესახებ და არა ერთად.

ამ დროს ჩვენ მივიღეთ დეპეშა აკაკი ჩხენკელისაგან, რომელიც ბერლინში ჩემ წასვლას თხოულობდა. ჩემი ბერლინში წასვლა უხერხული იყო, რადგანაც ჩვენს დელეგაციას მე ჩავყევი, როგორც თავმჯდომარე, მაგრამ წასვლა აუცილებელი შეიქნა. ბერლინში ჩემს ჩასვლამდე უკვე იყო ჩვენს შესახებ მუშაობა. საქართველოზე უკვე იყო პრესის ყურადღება მიქცეული. რაც შეეხება დამოუკიდებლობის ცნობას, მის დაგვიანებაში დიდი როლი ითამაშა კიულმანის გადადგომამ.

როგორც იცით კიულმანმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ მართალია ჯერ არ გვიცვნია ფორმალურად, მაგრამ ფაქტიურად უკვე დამყარებულია ჩვენს შორის ურთიერთობაო. საქართველოს საქმეები აბარია შინაგან საქმეთა მინისტრს იოპერტს. მისი აზრით ჩვენი საკითხი უნდა გადაჭრილიყო ბალშევიკებთან შეთანხმებით.

ბერლინში გაუვრცელებიათ ხმა, რომ ჩხენკელი არ არის არამც თუ ხალხი, არამედ—სოც. დემ. პარტიის წარმომადგენელიო. საქართველოს დამოუკიდებლობის აზრს ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე და გეგეჭკორი არ იზიარებენო. თვით ქართველ ხალხს არ უნდა დამოუკიდებლობაო. ამ ჭორებს ფესვები გაუდგამს დამოუკიდებელ ს. დ. ზოგიერთ მოღვაწეთა შორის. ჩვენ შევეცადეთ გვენახა დამოუკიდებელ ს. დ. პარტიის წევრები, ედუარდ ბერნშტეინმა შეგვახვედრა იოფფესთან; დაესწრო კაუცკი, ბერნშტეინი, ჰაზე და სხ. თათბირი გაგრძელდა 4 საათიდან—11 ს. დაწვრილებით არ გადმოგცემთ, თუ რა ითქვა იქ, მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ აქ იოფეს მიერ იყო წარმოთქმული მთელი ის არსენალი გინებისა და ჭორებისა, რომელსაც ჩვენს წინაღმდეგ ბალშევიკები აწარმოებდენ. იქ იყო ლაპარაკი იმ საჩხუბელაზე, რომელიც ვითომ ჩვენ აღვვიმართავს თფილისში და სხვა. ჩვენ ვრცელი მოხსენება გავაკეთეთ და სრულიად ობიექტიურათ დაუსურათეთ ის გარემოება, თუ როგორ მივედით ამ მდგომარეობამდე, ჩვენ ვუთხარით, რომ პარტიულ კინკლაობისათვის არ მოვსულვართ, ჩვენ მხოლოდ გვინდა ჩვენს ამხანაგებს გავაცნოთ ჩვენი მდგომარეობა და ის ნაბიჯი, რომელიც ამ შექმნილმა მდგომარეობამ გადაგვადგმევინა. ბოლოს გადასწყვიტეს გადადვათ კრება. მაგრამ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა, რადგანაც იოფემ განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა უარს აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. ეს ფაქტი კარგი შეიქნა. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩა. ბალშევიკები არ სცნობენ დამოუკიდებლობას. წამოსვლის წინა ხანებში იოპერტმა მითხრა, რომ ბალშევიკებთან მოხდა შეთანხმება იმ სახით, რომ ჩვენ ვცნობთ თქვენს დამოუკიდებლობას, ხოლო ბალშევიკები ამას სიჩუმით შეხვდებიანო (ე. ი. პროტესტს არ განაცხადებენო). იოფესაც ასე გადუცია არშაკ ზურაბოვისთვის.

რაც შეეხება საერთოდ გერმანიის მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ სურსათი „ობივატელებს" ძალიან ცოტა აქვთ, კვერცხი და რძე მხოლოდ ავადმყოფებს აქვთ, სამაგიეროდ, მუშებს და ფრონტს ყველაფერი აქვს. მე წინეთ არ ვყოფილვარ გერმანიაში, ახლა კი ვიწამე უზენაესი ორგანიზაციული ნიჭი ამ ხალხისა. ყველაფერი საათის მექანიზმივით არის მოწყობილი. ბერლინის ყველა ქუჩებზე შეხვდებით დამტვრეულ ავტომობილებს და გამხდარ ცხენებს, ხოლო რაც კარგი ავტომობილი და ცხენებია, ყველა ფრონტზეა გაგზავნილი.

საერთოდ ამ ომით ხალხი ძალიან შეწუხებულია, მაგრამ ის ითმენს და მე ვფიქრობ, რომ კიდევ დიდ-ხანს მოითმენს.

ფართლეულობის ნაკლებობა არ არის, რაც არის ძალიან კარგათ არის განაწილებული. უნებართვოთ ვერაფერს იშოვი. მაგ. პალტო 90 მანეთად შეიძლება იყიდო. „კოსტიუმი" 250 მ. ძვირია ფეხსაცმელი, ღირს 250—300 მ.

მუშათა დიდი უმრავლესობა შეიდემანის მომხრეა. ამ ორი თვის წინეთ მომხდარა არჩევნები და 113 დეპუტატში გაუყვანიათ 30 დეპუტატი დამოუკიდებელ სოც. დემოკრატებს.

ან—ხანი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

19 აგვისტო.

**მოსკოვი.** ბერლინის გაზეთების ცნობით ავსტრიის იმპერატორს მოელიან გერმანიის ჯარების მთავარ სადგომში. მას ეახლება საგარეო საქმეთა მინისტრი ბურიანი და ბერლინში მყოფი ელჩი გოგენლოე. მთავარ სადგომში მომხდარ თათბირს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. განხილულ იქნება იქ აგრეთვე პოლონეთის საკითხი, რომელსაც დაესწრება პოლონეთის წარმომადგენლები - თავ. რა ძივილოვი და გრ. რონიკერი.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების იოფეს, ლარინის და სხვათა მოსკოვში წასვლის შესახებ გერმანული გაზეთები სწერენ, რომ რუსეთის წარმომადგენლები ჩქარა დაბრუნდებიან ბერლინში მოსკოვში მოხსენების გაკეთების შემდეგ.

20 აგვისტო.

**ბერლინი.** ბეილეის სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი სროლის შემდეგ მეტერენსა და მერრისამს შუა ინგლისელებმა იერიში მოიტანეს. იერიში ჩვენ მოვიგერიეთ. ლისის ორივე ნაპირად მტერი დაზვერვას აწარმოებს. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ რამდენიმეთ წინ წავიწიეთ და წამოვიყვანეთ ტყვეები. ანკრსა და უაზის შუა დილით ძლიერი სროლა იყო. სომ ს სამხრეთით მტერმა რამდენჯერმე სცადა იერიშით მოსვლა. ხერლევილთან ავსტრალიელი ჯარების ერთი იერიში დამარცხებით დამთავრდა. რუაის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. ამიენ—რუაის გზაზე ფრანგთა იერიშები მოგერებულ იქნა. მტრამ ვერ შესძლო იერიშის მოტანა ავრის სამხრეთით. მტერი შემოიჭრა ბევრენის დასავლეთით. აქ მყოფი ჩვენი ჯარები აღმოსავლეთისაკენ წამოვიყვანეთ. ლასსინის ჩრდილო-დასავლეთით მოვიგერიეთ მტრის იერიშები. უაზის და ენს შუა შუადღისას დაიწყო ძლიერი იერიშები და საარტილერიო სროლა. საღამოთი მტერი შეტევაზე გადმოვიდა კარლეპონტის და ნუვრონის სამხრეთით მდებარე რაიონისა. ჩვენი ჯარება მტრის იერიშებს გაუმაგრდენ და მტერიც ვერას გახდა. მდ. ვესლისთან და ბრესნის ორივე ნაპირად ძლიერი საარტილერიო სროლა და ქვეითი ჯარების უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

**ვენა.** პიავთან მტრის მზვერავები ვერას გახდნენ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ლიუდ ტიულ-კერმის რკინის გზის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ მტრის მზვერავთა რაზმი. ჩვენი ჯარი მერდეხ-კეჭემამდე მოვიდა და აქედან მტერს დაახვეწა.

**პარიზი.** წარსული დღე-ღამის განმავლობაში ფრანგები განაგრძობდენ წარმატებით ბრძოლას მატცის და უაზის შუა. მიუხედავათ გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ფრესნიერობი და დაუახლოვდენ ლასსინის ფრანგთა ჯარები გამოვიდენ აგრეთვე ტიესკურტის ტყიდან. მარჯვენა ფრთაზე ფრანგებმა დაიკავეს პიმპრე და წამოსწიეს ხაზი დრესლინ-კურტამდე. ენის ჩრდილოეთით კარლეპონტის და ფონტენუას შუა ფრანგთა ჯარებმა აიღეს სოფ. მორსენი. გუშინდელ ამ რაიონში წამოვიყვანეთ 2 ათასი ტყვე.

**ბერლინი.** კიევიდან იტყობინებიან, რომ საქართველოში გერმანელი ჯარების მისვლის შემდეგ საუცხოვო წესრიგია. საქართველოს ჯარის ორგანიზაცია ეწყობა.

**რიო-დე-ჟანეირო.** მოვიდა ინგლისის გემი არტგრანი 28 მგზავრით, რომლებიც გადმოუყვანიათ იტალიის დაღუპულ გემ „ჯუზეპე"-დან. ეს გემი ჩაიძირა სანტა-კატარინიდან 200 მილის მოშორებით დინამიტის ყუმბარის გახეთქისაგან. იტალიის გემს ხორბალი მოჰქონდა ბუენოს-აირესიდან.

**მოსკოვი.** საბჭოთა მთავრობამ დააკავა ამერიკის საპროპაგანდო ლიტერატურა რამდენიმე ათასი კილოგრამი წონით. ამ ლიტერატურაში აქებენ შეერთებული შტატების პოლიტიკას, ამტკიცებენ შეგობრულ განწყობილებას რუსეთთან და ცდილობენ აღფრთოვანება გამოიწვიონ მუშებში და გლეხებში იმის აღნიშვნით, რომ მოკავშირეთა ფრონტზე საქმე. ჩინებულადაო.

**მოსკოვი.** კვირას მოსკოვში მოხდა საბჭოთა ჯარების დათვალიერება. დაესწრო აგრეთვე კამენევი. მოსკოვის მახლობლათ ყოველ დღე სწარმოებს ვარჯიშობა მუშათა და გლეხთა ჯარებისა, რომელთა რიცხვი 300 ათას უდრის.

**მოსკოვი.** აღმოსავლეთის შინაური ფრონტი. ალაპაევს მიმართულებით მზვერავთა ნაწილების შეტაკებები ხდება. ჩვენ შევაკეთეთ რკინის გზის აფეთქებული ხიდი. ლისვინის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ მიხაილინო, კრუტაიროგი და სად. კორნოვიშჩე მტერი კუშიშსკენ იხევს. ყაზანის რაიონში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. სიმბირის მიმართულებით მტერი შემოტევას აწარმოებს... (გამოტოვებულია) ბირთან და რკინის გზაზე საარტილერიო სროლაა. ჩვენი ჯარი სად. ბირის დაუახლოვდა. სხვა რაიონებში ცვლილება არ მომხდარა. იტყობინებიან რომ ყაზანის დაცემის დროს დიდი გულადობა გამოიჩინა №... ლატიშთა ბათალიონმა, რამაც შეძლება მოგვცა მდ. ვოლგაზე ხიდი შეგვენარჩუნებინა, გმირულად ეჭირა თავი დივიზიის უფროსს, ახალგაზრდა აფიცრებს და სხვა. მთავარი სარდალი ვაიცეტისი შუამდგომლობს რათა ლატიშთა პოლკს ებოძოს ჯილდოთ საგანგებო რევოლუციონური დროშა.

ჩეხო-სლოვაკთა ფრონტი. ჩეხო-სლოვაკთა ჯარები შველას სთხოვენ ინგლისელებს და ფრანგებს. 14 აგვისტოს თარიღით ლონდონიდან იუწყებიან რომ ჩეხო-სლოვაკების ჯარებმა ინგლისს სთხოვეს დახმარება, მაშველი ძალების მიწვევლება. თუ დროზე არ მოეშველნენ, მერმე გვიან იქნებაო. ინგლისური გაზეთები სწერენ, რომ ჩეხო-სლოვაკებს დახმარება უნდა აღმოეჩინოსო.

საზღვარ გარეთიდან იტყობინებიან, რომ იმ თათბირზე, რომელიც მოხდება გერმანიის ჯარების მთავარ სადგომში გაირჩევა რუსეთის შესახებ საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული პოლონეთის საკითხს.

ინგლისის დეკლარაცია. ინგლისის მთავრობამ დეკლარაცია გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ჩეხო-სლოვაკებს ისე ვუცქერით, როგორც მოკავშირე ხალხსო.

## საჭიროა გამოძიება

გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული კალენიკე გოგიბერიძის დატყვევების შესახებ. ამ ჟამად ის ისევ თავისუფალია: ამბობენ, გამომძიებელმა გამოუშვაო. ჩვენ ამის შესახებ არას ვიტყოდით, გამომძიებლის საქმეში არ ჩავერეოდით, მაგრამ საქმის გარემოება ისეთია, რომ იჭვები იბადება: თვით გამომძიებელი ხომ არ იმყოფება რაიმე გავლენის ქვეშ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჯერ ჩვენს რედაქციას მოუვიდა ორი საპროტესტო წერილი. მართალია არც ერთი არ არის ხელმოწერილი, მაგრამ ორივეს ბეჭედი აქვს დასმული: ერთს—„ცენტრალურ წითელ გვარდიის შტაბის", მეორეს „რესტორანების მოსამსახურეთა კავშირისა". პროტესტის ტონი ერთობ კატეგორიულია, „შტაბი" მეტად აღელვებულია, რომ იუსტიციის მინისტრს განკარგულება გაუცია კალენიკე გოგიბერიძის დატუსაღებისშე სახებ".

არა გვგონია ასეთი გავლენის მოხდენა დასაშვები იყოს.

არსებითად კითხვა ასე სდგას: „სახალხო საქმეში" ვინმე ჩელა ერთობ გარკვევით ადებს ხელს კალენიკე გოგიბერიძეს. რომანის გმირიც არ ყოფილა გამოგონილ: ვინმე ვ. გ—ლი შემობრძანდა ჩვენს რედაქციაში და წერილის დასტამბვა გვთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ჩვენ არ ვამბობთ, რომ კალენიკე გოგიბერიძეს რომ ნში და მკვლელობაში წილი უდევს. ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ ფაქტია ის, რომ პირველ მკვლელობას გოგიბერიძე თითონ არ უარჰყოფს, ხოლო იძულებითი თავდაცვით ამართლებს, მაგრამ „სახალხო საქმეში" პირდაპირ ეუბნებიან: ზურგიდან აქვს ნასროლიო. გოგიბერიძე კი ამტკიცებს: წინიდან ვესროლე და ამის შესახებ ექიმის მოწმობაც არისო. მეორე მკვლელობას კი სულ უარჰყოფს.

შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ ამას გამოძიება უნდა. ასეთს პირობებში კი, როცა გოგიბერიძის საქმეში ერევა შტაბი, კავშირი და სხვა, გამოძიება შეუძლებელია.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ გოგიბერიძე არ უნდა იყოს მართალი. მაგრამ ეს ხომ ლიტონი შთაბეჭდილებაა.

ჩვენ კვლავ მოვითხოვთ ფარდა აეხადოს ამ ბნელ ისტორიას. თუ გამომძიებელს მართლა არ აქვს რაიმე საბუთი, გოგიბერიძე, როგორც ხმოსანი და კავშირების თავმჯდომარე, და აგრეთვე გვარდიასთან დაახლოვებული პირი, ზნეობრივათ მაინც არის ვალდებული თავი იმართლოს.

ვიმეორებთ, „სახალხო საქმეში" ერთობ გარკვევით არის წამოყენებული ბრალდება და ლიტონი განცხადება გამოძიებისა უდანაშაულობის შესახებ ვერავის ვერ დაარწმუნებს.

## ნიკოლოზ წულუკიძის საქმე

(შთაბეჭდილებანი)

ძალიან დამაინტერესა ნ. წულუკიძის საქმემ, არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მოკლულ იქნა ყოვლად პატიოსანი და ბუნებით მშვიდი მოღვაწე ვლადიმერ გობეჩია. არც ის არის საკვირველი, რომ მოკვლის მიზეზი გახდა შედარებით ასეთი უმნიშვნელო ფაქტი, როგორიც არის ბინის რეკვიზიცია.

რასაკვირველია, როცა ადამიანს ცხოვრების საშუალებას მოუსპობ, როცა შელახავ მის წმიდათა-წმიდას, ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთს გარემოებაში ჩაყენებულს ადამიანს სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა დაეკარგოს და ხელი შეგახოს.

მაგრამ აღნიშნული შემთხვევა სულ სხვაგვარი იყო: ბინის რეკვიზიციას ქალაქის თვითმართველობა სულ ერთია მოახდენდა, თუნდაც გობეჩიებისათვის საჭირო არც კი ყოფილიყო ბინა. ეს იყო, ასე ვსთქვათ, ერთგვარი აუცილებლობა.

ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ გობეჩიას მკვლელობას პოლიტიკური სარჩული აქვს. მოჰყავთ, სხვათა შორის, განსვენებულ გობეჩიას სიტყვები, რომლითაც წულუკიძეს მიუმართავს: თქვენ სოციალისტებმა წაგვართვით ყველაფერიო. პირადათ მე ვფიქრობ, რომ მკვლელობის ამოცანა უნდა ვეძიოთ არსებულ ზნეობრივ დაქვეითების პირობებში, რაც ანარქიის ნიადაგზე აღმოცენდა. წულუკიძე კარგათ ხედავდა, თუ რა სუსტი იყო საერთოთ ადმინისტრატიული აპარატი, გრძნობდა, რომ ადვილათ დაიძვრენდა თავს პასუხისგებისაგან: მას უარესებიც ჩაუდენია და თუ დღეს სასჯელს გადაუწყვეტენ, ვინ იცის, ხვალ რა წყობილებას ექნება ადგილი და ამნისტიაც უზრუნველ ყოფილი იქნება. წულუკიძე, როგორც გამოცდილი და დაკვირვებული კაცი, კარგათ ხედავდა, რომ დამნაშავეთ ცნობილი პირები ციხიდანაც ადვილათ გამოდიოდენ და ზოგიერთი იმათგანი თბილი ადგილის შოვნასაც ახერხებდა. ასეთია, ჩემის ფიქრით, ის ნიადაგი, რომელზედაც მკვლელობა აღმოცენდა. ისეთს პიროვნებათ, როგორიც წულუკიძეა, არ აქვთ განვითარებული ძლიერი, „შემკავებელი" ცენტრი, ამიტომ მათი ალაგმვა ძლიერს დამსჯელ აპარატს შეუძლია: რომ ასეთ აპარატის შიში არ შეეკავებინა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა წულუკიძე—ჯერჯერობით კი ეს მხოლოდ მეოთხე დანაშაულია.

ამ მხრით, თუ გნებავთ, მართლა პოლიტიკურია ეს მკვლელობა. წოდებრივ სიძულვილს და ზოგიერთ წარჩინებულ წრეების გავლენასაც ექნებოდა უეჭველია მნიშვნელობა—მოიგონეთ მოწმის ბ. კ. თუმანოვის ჩვენება.

ეს ყველაფერი ჩვეულებრივია, მაგრამ წულუკიძის პროცესი სულ სხვა მხრით იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ამ უკაცობის დროს, როცა იძულებული ვართ ერთ კაცს სამი და ოთხი საქმე და თანამდებობა დავაკისროთ, წულუკიძის საქმე ორჯელ ირჩევა და მასში მონაწილეობას იღებს: ხუთი წევრი სარევოლიუციო ტრიბუნალისა მდივნისა და საზოგადოებრივ ბრალმდებლის მონაწილეობით, სამი ნაფიცი ვექილი და ექვსი მეცნიერი ექიმი—ექსპერტები. სასამართლოს ბოქაული და მსახურები და დარაჯები კიდევ სხვაა. და ეს ამოდენა ხალხი მთელი კვირა უნდება ამ საქმის გარჩევას: მოუწვევიათ უთვალავი რიცხვი მოწმეებისა, რომლებმაც უნდა დაამტკიცოს ბრალდებულის „კაი კაცობა", თითქოს შესაძლებელი იყოს მოიძებნოს ისეთი კაცი, რომელსაც რამდენიმე მომხრე მაინც არ გამოუჩნდება და, რაც ყველაზე საკვირველია, მოუწვევიათ ექვსი ექსპერტი—ექიმი. რისი დამტკიცება სურთ მეცნიერების ქურუმთ? წულუკიძე პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაში, რადგან სრულს ჭკუაზე არ იყოვო. ამის მტკიცებაში არიან დამცველები, რომელთა რიგს ამშვენებს სოციალისტი ბატ. ანდრია ბებურიშვილი, ამასვე დიდი ჰაპანწყვეტით ამტკიცებენ ბრალდებულის მოწმეები და ექსპერტები.

არ ვიცი, რას გრძნობენ ვექილები და მეცნიერი ექსპერტები, როცა დიდის თავგამოდებით იმოწმებენ წულუკიძის ბიოგრაფიას: არ მოასვენეს მისი და-ძმები, რომელნიც სულიერი ავათმყოფები და ალკოგოლიკები ყოფილან და ამავე დროს ქურდის და მამლის კუდის არ იყოს, თვით ბრალდებული წულუკიძე ულმერთოდ ააშკარავებს მათ უმწეობას... თავისი სალი მსჯელობით და არაჩვეულებრივ თვალებით. გარდა ამისა წულუკიძეს წინათაც მოუკლავს კაცი, ქალის გაუპატიურების განზრახვისათვისაც ყოფილა მიცემული პასუხისგებაში, მაგრამ არც ერთხელ არავის არ მოსვლია ფიქრათ მისი ტვინის შემოწმება. მხოლოდ დღეს გამოატვრინეს ეს არგუმენტი. მე მოვისმინე ექიმების დასკვნა და უნდა გამოვტყდე, ვერაფერში ვერ დამარწმუნა ამ დასკვნამ. თქვეს: ბრალდებული

პატოლოგიურ აფექტის ქვეშ იმყოფებოდა, ცნება დაბნელებული ჰქონდაო, თანაც აღიარეს ასეთი დასკვნის გასაკეთებლათ საკმაო ცნობები არა გვაქვსო. მაგრამ არც ამ შესაძლებლობის უარმყოფელი მასალები გვაქვსო, წამოცდა ექიმ ფონდოევს და ამას მაგრათ ჩასჭიდა ხელი დამცველმა ზელენსკიმ. ასე გამოდიოდა: მართალია საკმაო ობიექტიური მასალები არ არის, რომ ბრალდებულის გონების დაბნელება დამტკიცდეს, მაგრამ სამაგიეროთ, არც საწინააღმდეგო მასალები გვაქვსო. მაშ რითი ისარგებლეს ექსპერტებმა? იქნებ მათ თქვეს, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია უტყუარი დასკვნის გამოყვანაო. ჭეშმარიტი მეცნიერი უეჭველათ ამას იტყოდა, მაგრამ ისინი ასე არ მოიქცენ. ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ექსპერტიზამ, რომ მეცნიერება, მეტადრე ადგილობრივი „მეცნიერება“ ამ საქმეში სრულიად უმწეოა: მეცნიერებს, მართალია, შეუქმნიათ ლამაზი თეორია, კარგათაც დაუსაბუთებიათ ის, მაგრამ პროფანების ხელში ის რაღაც სასაცილო გამოდგა, მით უმეტეს, რომ გამოსაკვლევათ საკმაო მასალაც არ აღმოჩნდა ექსპერტების განკარგულებაში. ასახელებდენ სიმთვრალესაც.

უცქერის ამ ამბებს მაყურებელი და ვერ გაუგია: როგორ მოხდა, რომ მთვრალი წულუკიძე კაცის მოკვლის წინ მარჯვეთ ეხმარება თავისიანებს ბარგის ჩალაგებაში, ავტომობილიდან მარჯვეთ ჩამოდის და მარჯვეთვე ისვრის, ასე რომ სამ ტყვიაში მხოლოდ ერთი აასცდინა თავის მსხვერპლს—ექიმები და მოწმეების ნაწილი კი ამტკიცებს: წულუკიძემ არ იცოდა, რას ჩადიოდაო.

ძნელი გასაგებია. მაყურებელმა არ იცის, აპატ ვებენ მას თუ არა, რომ დათვრეს და ისე ჩაიდინოს მკვლელობა.

დიდ ბურუსში სტოვებს ბევრს მოქალაქეს წულუკიძის საქმის გარჩევა.

ელი.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია იმ მოხსენების მოკლე ანგარიში, რომელიც საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში გავაკეთე. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მოხსენების ზოგიერთი ადგილები სისწორით არ არის გადმოცემული. აზრათ მაქვს ამ დღეებში გაზეთში მუშაობა განვაახლო და პირველად ყოვლისა რამდენიმე წერილი მოვათავსო ამ საგანზე, სადაც დაწვრილებით იქნება საქმის ვითარება გარკვეული.

პატივისცემით ვლ. ახმეტელაშვილი.

## ახალი ამბები

დღეს, სად. 6 საათზე დანიშნულია შეერთებული კრება საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის, რაიონული კოლექტივების ს. დ. მ. პ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხსენებას გააკეთებს ნოე ჟორდანია. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ **მთავრობის თავმჯდომარე** ნოე ჟორდანია 19 აგვისტოს კოჯორიდან თფილისში დაბრუნდა.

◆ **ყალბი ფულების გამსაღებელთა დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ არსებობს ყალბ ფულების (კერენსკის) ორმოც მანეთის მჭრელთა და გამსაღებელთა ჯგუფი, რომელსაც კავშირი აქვს თფილისში და ბორჯომში არსებულ ჯგუფთან სამინისტრომ მიანდო ეს საქმე საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწეს ფაჩულიას და ერთი რაზმის თანამშრომელს, რომლებმაც ყალბი ფულები და გასაკეთებელი მანქანა აღმოაჩინეს და დაატუსაღეს: ი. ტორონაშვილი, კაკიდაშვილი, ალ. გაბელია, ქუჩავა, იხილჩაკი და მურადიანცი, რომლებსაც თან აღმოაჩნდათ რამოდენიმე ათასი ყალბი ფული.

◆ **ნური-ფაშას** გერმანიის სამხედრო დელეგაციისათვის განუცხადებია, რომ ყარაბაღის რაიონში ოსმალთა კომენდანტები იქნებიან დანიშნულნიო.

◆ **დატუსაღება.** 16 აგვისტოს, მილიციონერებმა დაატუსაღეს: გრ. ეპიფანოვი, მიხ. ეპიფანოვი, გ. გონტერი, პ. ბაბკინი, კ. ბაროდკინი და ერთიც უცნობი ქალი, როგორც გამოირკვა მათ ბევრი ძარცვა და მკვლელობა ჩაუდენიათ.

◆ **სასოფლო კომისიაში.** გორის მაზრაში გაგზავნილი პროპაგანდისტები სასოფლო კომისიას ატყობინებენ: გლეხებს უმთავრესად მიწის საკითხი აწუხებს. პროვოკატორების წყალობით სოფლის ხალხს არ სჯერა მიწის მათ ხელში გადასვლა. ისინი ამბობენ: თუ მთავრობას სურს მიწები ჩვენ მოგვცეს, რაღას აგვიანებს მის დარიგებას და რატომ ფულით უნდა მოგვყიდონ მიწებიო. უფრო შეძლებულ გლეხებს ეშინიათ, რომ ხელმოკლე გლეხობამ მათ წინააღმდეგ არ გაილაშქრონ მიწების ჩამორთმევის ნიადაგზე, და ხალხში ხმებს ავრცელებენ მთავრობის წინააღმდეგ და უმტკიცებენ, რომ მთავრობა თავად-აზნაურობის მომხრეა. თუ ძალით არ ჩამოერთვა მიწა-წყალი, ნებით არავინ დაგითმობთო და სხვა. ამ პროვოკაციას გასავალი აქვს ხალხში და ამ ნიადაგზე ხდება ხშირ-ხშირად ანარქიული გამოსვლები.

◆ **ოსმალთა ჯარები.** ამ დღეებში დაბა დელიჟანზე და კარაკლისზე განჯისკენ გაემგზავრა ძლიერი რაზმი არტილერიით, ტყვიის მფრქვეველებით და სხვა მასალით. რაზმის უმრავლესობას შეადგენდენ არაბები და ქურთები.

◆ **თავის მოკვლა** 14 აგვისტოს თავის ბინაში თავი მოიკლა ბარბარე სტეპანენკომ.

◆ **ქურდობა.** საქონლის მიმწოდებელ კომიტეტიდან მოიპარეს 150 ათასი მანეთის საქონელი. როგორც გამოირკვა, ქურდობა მოუხდენიათ ი. გიორგაძეს და დარაჯებს: ქართველიშვილს, ალ. ურუშაძეს, ზექ რიანცს, ალ. ხუდნოვსკის და ა. ბეგოვს, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულობაში.

◆ **ლანჩხუთის ქალაქის თავი** დეპეშით ატყობინებს ამავე ქალაქის საბჭოს წევრს მდ. ე. ჩხაიძეს, რომელიც ეხლა თფილისშია, რომ ლანჩხუთის რაიონში უსურსათობამ ძლიერ მწვავე ხასიათი მიიღო, გლეხები ყიდიან ტანისამოსს და სხვა საჭირო ნივთებს სურსათის საყიდლათ. ქალაქის თავი სთხოვს მდ. ჩხაიძეს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სურსათის მოწოდებაზე დაკლებულ ფასებში.

◆ **საგანგებო კომისიამ** დაასრულა საქართველოს წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტის დებულების დამუშავება. კომიტეტის პროექტი, შტატი და ხარჯთ აღრიცხვა მთავრობას წარედგინა.

◆ **ლეჩხუმი.** ხრესილიდან იტყობინებიან, რომ იქ დაუტუსაღებიათ ბალშევიკთა შტაბის თავმჯდომარე და შტაბის წევრები საყურადღებო საბუთებით.

◆ **ყრილობა.** 15 ენკენისთვეს, ქ. თფილისში დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა.

◆ **სოფ. ახმეტაში** (თელავის მაზრა) უკვე დაიწყო ნავთზე მუშაობა.

◆ **პროფესიონალურ კავშირების** საბჭოს კანცელარია აცხადებს, რომ კალენიკე გოგობერიძე ამა წლის აპრილიდან არ ითვლება პროფესიონალურ კავშირების საბჭოს თავმჯდომარეთ და გაზეთებში მოთავსებული ცნობა, რომ ის იყო ზემოდასახელებული საბჭოს თავმჯდომარე, სიმართლეს მოკლებულიაო.

◆ **დაიკარგა** 17 აგვისტოს ბავშვი—ვანიჩკა იოსების ძე დუმბოვსკი 3 წლისა, ნიშნები: შავი ხუჭუჭი თმა, აცვია გრძელი ხალათი შავი ფერისა, არის ფეხშიშველა, გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის ამ ბავშვისა ან გაიგოს რამე—გვაცნობონ ამ მისამართით: ვლადიმიროვის ქუჩა № 29. სახლი მალხაზოვისა (მე 11 ტეუბანი) იოსებ დუმბოვსკის.

◆ **სტუდენტების საყურადღებოთ.** დღეს, სად. 6 საათ., აგვისტოს 21, გაიმართება უკრაინაში წამსვლელ სტუდენტების კრება, ლორის მელიქ. ქ. № 1. გთხოვთ არ დაიგვიანოთ. ყველას დასწრება აუცილებელია.

◆ **ნაძალადევის სახალხო-გვარდიელთა შტაბი.** 23 აგვისტოს, დილის 9 ს. დანიშნულია ნაძალადევის თეატრის შენობაში ნაძალადევის უბნის სახალხო-გვარდიელთა საზოგადო კრება, განსახილველია შემდეგი კითხვები: ანგაში, დისციპლინა და შტაბის ახალი არჩევნები. შტაბი სთხოვს ყველა გვარდიელებს აუცილებლივ დაესწრონ ამ კრებას.

**კრებები და მიტინგები**

ხუთშაბათს, 22 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ქსენიევის ქ. № 11 ი. სირაძის ბინაზე დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმელთა საზოგადო კრებაზე არჩეულ საორგანიზაციო კომისიის სხდომა. განსახილველია საზოგადოების წესდების პროექტი, ამხანაგებს ევალებათ დროზე გამოცხადება.

## პროვინციის ქრონიკა

სამტრედიის ქალაქის გამგეობამ ამა წლის 29 ივნისის სხდომაზე დაადგინა დაითხოვოს მასწავლებლობიდან სამტრედიაში ერთ კლასიან სასწავლებლის მასწავლებელი ნესტორ კაკუშაძე და ორ კლასიან სავაჟო სასწავლებლის მასწავლებელი გიორგი ლექვინაძე მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან, ე. ი. პირველ ივლისიდან 1918 წ., როგორც უვარგისნი მასწავლებელი.

ა. კანდელაკი.

## საჩხერეში

**10 აგვისტო.** მთებში არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა. ხაჩიეთ-ჯალაბეთის ირგვლივ ყოველ დღე ძარცვა-გლეჯაა. ყაჩაღები ბრბოებათ თავს ესხმიან მწყემსებს და იტაცებენ საქონელს: ცხვარს, ცხენს, ძროხებს და სხვა. პერევში ცნობები მოდის, რომ „ბანდები“ თავს იყრიან ოსთა სოფლებში, რომელშიაც მთავარ როლს თამაშობს საჩხერეს რაიონიდან გაქცეულებიო. დილით ადრე გურიის რაზმის მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ. სროლის დროს მოჰკლეს ერთი მოწინააღმდეგე და ერთიც დასჭრეს.

**11 აგვისტო.** რადგანაც საჩხერეში მოელოდენ ირ. წერეთელს, დილით ადრე საჩხერეში თავის მოყრა იწყო ყველა სოფლებიდან ხალხმა. სადგურის უკან გაკეთებულ ტრიბუნას ამშვენებდა წითელი დროშები და კ. მარქსის და ნ. ჟორდანიას სურათები. საშინელ ანარქიისა და სისხლის ღვრის შემდეგ ეს იყო პირველი დიდი სარაიონო მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდ ძალი ხალხი, ჯარისკაცები, გვარდიელები და აფიცრები. მიტინგი 2 საათზე გაიხსნა.

კრებაზე წარმოითქვა სიტყვა, თუ რა ღვაწლი დასდო მშრომელ ხალხს ირ. წერეთელმა.

გამოჩნდა მატარებელიც. ვაგონიდან გამოსულ ირაკლის მთელი მიტინგი ტაშის ცემით შეეგება.

სიტყვით მიმართა სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჭეჟინაძემ, მგრძნობიარე სიტყვა უთხრა ს. ფ. წარმომადგენელმა ანეტა იურკევიჩის ასულმა. სიტყვებით მიმართა აგრეთვე გურიის რაზმიდან ნ. კვერენჩხილაძემ და საჩ. ს. დ. კოლექტივის მონდობილობით ამხანაგმა, რის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ირაკლი. მოხსენებას ხალხი გულდასმით ისმენს. მომხსენებელი ხალხს აცნობს მიმდინარე მომენტს.

„რუსეთში ბალშევიკურ გადატრიალების მიერ შექნილმა საშინელმა ანარქიამ მოსპო რუსეთის მთლიანობა, დაარღვია რუსეთის სახელმწიფო, დაამარცხა რუსეთის რევოლიუცია და მტრის წინაშე დააჩოქა იგი. დღეს რუსეთში მეფობს ანარქიზმი. დღეს რუსეთში დაშლილია რევოლიუციის ძალთა განწყობილება და გამეფებულია უწესრიგობა. გამეფებულ პირობებით რუსეთმა დაკარგა საკუთარი მოქმედების უნარი, სახემწიფოებრივი აღმაშენებლობა და გარეშე ძალის და შინაურ ანარქიის ტყვეთ არი ჩავარდნილი. რუსეთის დაშლამ განაპირა ქვეყნები საფრთხეში ჩააგდო. კერძოთ ჩვენი პატარა ქვეყანა განმარტოებულ-მოწყვეტილი დარჩა მსოფლიო ომში, რომლის წინ აღიმართა საშინელი საფრთხე ოსმალეთის შემოსევისა და ქვეყნის კულტურულ ეკონომიურ,—პოლიტიკურ და ფიზიკურ განადგურების აჩრდილი.

ყოველ მხრივ რეალურ ძალთა დახმარებას მოკლებული საქართველოს დემოკრატიას შიგნიდან და გარედან მტერი შემოესია შესამუსრავათ. ბალშევიკური საფრთხე, შიგნით ანარქია, ოსმალეთის შემოსევა, აი ის დიდი საბედისწერო განკითხვა, რომლის წინაშე ისტორიამ დაგვაყენა.

სომხეთის ფაქტიურათ დაპყრობამ, ადერბეიჯანის მოშორებამ და ჩრდილოეთიდან ბალშევიკურ ბრბოების შემოსევის მოლოდინმა, ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარების შემოჭრამ საქართველოს დემოკრატია ფაქტის წინაშე დააყენა და ჩვენ გადავდგით გარკვეული ნაბიჯი, რომ ჩვენი ქვეყანა გვეხსნა განსაცდელისაგან: მოკავშირეთ ძლიერი გერმანია ავირჩიეთ.

ამით ჩვენ ვიხსენით თავი და ოსმალეთის გადაწყვეტილება ჩვენ დაპყრობის შესახებ შეჩერებული იქნა. ამ მხრით ჩვენი საგარეო პოლიტიკა უნაყოფოთ არ დამთავრებულა და ჯერ ჩვენ მივაღწიეთ მშვიდობიან შედეგებს. დღეს, როდესაც საჭიროა შევქმნათ წესრიგი, მოვაწყოთ სახელმწიფოებრივი აპარატი, შევუდგეთ სასწრაფო დადებითი მუშაობას, რის შესახებ მოწინავე დემოკრატია იბრძვის, ჩვენი ქვეყნის მტრები, მტრები დემოკრატიისა, ზურგიდან მახვილს გვცემენ, ანარქიის ცეცხლს აჩაღებენ, ღალატობენ რევოლიუციას და ხელს უწყობენ ქვეყნის დაღუპვას, რასაც ადვილი მოსალოდნელია მოყვეს გარეშე ძალის ჩარევა და უკრაინის ბედიც შეხვდეს.

პროვოკატორების ოღვენდელი მოქმედება მიმართულია ხალხის მოსატყუებლათ, რომ შემდეგ მართლაც გაიმარჯვოს კონტრ-რევოლიუციამ.

დღეს, როდესაც ჩვენ გვიდგას დიდი საკითხები საბოლოოთ გადასაჭრელათ და რის შესახებ პოლიტიკური ეგზამენის ჩაბარება უწევს ჩვენს დემოკრატიას, ხალხმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა. ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდია და ჯარი ებრძვის ანარქიას და ხალხი ხელს უნდა უწყობდეს მათ, რადგანაც მართლაც მოსალოდნელია გადატრიალება.

უმთავრესი საკითხი, რომელიც ჩვენს გლეხკაცობას ითრევს ყოველგვარ პროვოკაციაში—მიწის საკითხი დემოკრატიის ხემძღვანელმა პარტიამ განიზრახა მისი დადებითად გადაჭრა. ჩვენ ვფიქრობთ ეს საკითხი გადავჭრათ ისე, როგორც გლეხკაცობა ფიქრობს და მომავალისთვისაც უკეთესია. მიწების ჩამორთმევა სწარმოებს, ვის ხელში დარჩეს ეგ მიწები, ეხლა კითხვა სდგას. მიწების მუნიციპალიზაციის ხელში, ან სახელმწიფოსი, ვერ იქნება მაინცა და მაინც საიმედო, რადგანაც, ვინ იცის, ხვალ როგორი პოლიტიკური მდგომარეობა გაბატონდებოდა და ვინ იქნება მდგომარეობის პატრონი მეორე მხრით, თვით გლეხკაცობაც ვერ ურიგდება ამ მოვლენას და მას ურჩევნია მიწა საკუთრებათ. ეხლა ვფიქრობთ, ის მიწები, რომელიც აქვს გლეხკაცობისთვის აუცილებელი მნიშვნელობა, დაყოფილი იქნას საკუთრებათ, სახელმწიფომ ჩაიბაროს კანონიერი გზით გლეხობას და უკანასკნელი გადიხდის განსაზღვრულ ფასს სახელმწიფოსათვის. ცხადია, პირველ რიგში მიწები საკუთრებათ უმთავრესად იმათ გადაეცემა, ვინც მეტად შევიწროვებულია.

რომ შემდეგ პოლიტიკური ცვლილებაც მოხდეს, მიწები ხალხს გადაცემული ექნება კანონიერი გზით და ეს დიდი საკითხი ერთხელ და უკანასკნელად გადაჭრილი. ეს როგორც საფრანგეთის რევოლიუციის დროს მოხდა.

მიწის საკითხის შესახებ ასეთია აზრი, ჩვენ მხოლოდ მოველით თქვენს სიტყვას, გლეხკაცობის აზრს.

მიწის საკითხი, სახელმწიფოს აღმშენებლობა დღეს შეკავშირებულია ერთი მეორესთან და საჩქაროთ უნდა მოვაწესრიგოთ“.

აი მოხსენების დედა აზრი, რომელიც მომხსენებელმა ფაქტებით, მრავალი ისტორიულ მაგალითებით განუმარტა ხალხს. მომხსენებელს რამოდენიმე შეკითხვები მისცეს და კრება საღამოს 7 საათზე დაიშალა.

მიტინგის შემდეგ შორიდან მოსული ჯარისკაცები და გვარდიელები თვიანთ პოზიციებზე წავიდენ ღამით.

**12 აგვისტო, პერევში.** ხაჩიეთ ჯალაშეთისაკენ მზვერავებთან კანტი-კუნტი სროლაა. მთელი მხარე ნისლით მოცულია. რამოდენიმეჯერ „პულემიოტებმაც“ იგრიალა. გამოირკვა, მოწინააღმდეგენიც დაზვერვას აწარმოებს. ხალხში კვლავ შიშიანობაა. ბევრი პერევს ზევით ველარც მიდის. ქალიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ ჯარის ნაწილებში ირ. წერეთელი მისულა, მოკლე სიტყვით მიუმართავს ჯარისათვის.

მეომარნი ერთი მეორეს ეკითხებოდენ: „წერეთელი აქეთ თუ ამოვაო“.

ღამით ბერის ხევის მიმართულებით დრო გამოშვებითი სროლა იყო.

**13 აგვისტო.** დილა სევდიანი იყო. მთელი ხეობა ნისლითაა მოცული. ხაჩიეთის მიმართულებით დაზვერვას ახდენდა გურულთა რაზმი პოდპ. მარკოზ გოგიჩაიშვილის მეთაურობით. ცხრა საათიდან ძლიერი წვიმა მოვიდა, ცუდი ამინდი ხელს უშლიდა მზვერავებს. ბერის ხევიდან ვერს ნახევარზე მზვერავებს სროლა აუტეხა „ბანდელებმა“ ყოველ მხრივ.

სროლა დიდხანს გაგრძელდა. სასიკვდილოთ დასჭრეს პოდპ. გოგიჩაიშვილი. ეს ის გოგიჩაიშვილია, რომელიც რამოდენიმეჯერ დაიჭრა ომში. ახალგაზდა 20 წლის, მეტად გაბედული მეომარი. მისი მორჩენა საეჭვოა. საღამოს მთელ ხეობაში სიწყნარე იყო. ძლიერი კოკისპირული წვიმა და ბნელი ღამე მეომარ ჯარისკაცებს და გვარდიელებს ხელს უშლიდა დაზვერვაში.

**14 აგვისტო.** დღემ მოქმედებით წყნარათ ჩაიარა. მთებში რამოდენიმე ძარცვას ჰქონდა ადგილი. მეჯოგეები არეულ-აბნეულათ მიდიან მთებიდან.

ან. ხ.

## ოსეთში

5 აგვისტოს დამთავრდა ოსების მეხუთე ეროვნული ყრილობა ს. ჯავაში. ის იყო მოწვეული თანახმად მეოთხე ყრილობის დადგენილებისა ს. წუნარში ექვსი კვირის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ოსებს უნდა გამოერკვიათ თავიანთი ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობა და თავიანთი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან. მაისში, როცა საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ ცალკე სახელმწიფოდ, ს. ჯავაში იყო შეკრიბილი ოსების მესამე ეროვნული ყრილობა. მას დაესწრო ისიდორე რამიშვილი და ვრცელი მოხსენება გააკეთა პოლიტიკურ მომენტის შესახებ და აღნუსხვა ყველა მიზეზები, რომლებმაც იძულებული გახადეს საქართველო გამოეცხადებია თავისი დამოუკიდებლობა. მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს დელეგატებმა და ბევრი კითხვები მისცეს მომხსენებელს. უმთავრესად ეს კითხვები ეხებოდენ საქართველოს მომავალ მდგომარეობას: შესძლებს თუ არა თავის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, როგორ შეხედავს მას რუსეთი, რანაირი იქნება მართვა-გამგეობა და სხვა.

ამ დროს ჯავაში იმყოფებოდენ ბალშევიკების მამა მთავარი ფილიპე მახარაძე, გიორგი ჩხეიძე, სიხარულიძე და ტერ აკოპოვი. ისინი ტყუილად არ იყვნენ მოსულნი ოსების ეროვნულ ყრილობაზე. ჩხეიძემ და სიხარულიძემ დიდხანს იმუშავეს ოსების სოფლებში, ქსელივით გააბეს თავიანთი ბალშევიკური ორგანიზაციები მთელ მხარეში, უმთავრესად ყოფილი ჯარისკაცებისაგან შემდგარი და დიდი იმედი ჰქონდათ ეროვნული ყრილობა მათ აჰყვებოდა, შეუერთდებოდა რუსეთს და ბალშევიკურ მართვა-გამგეობას მიიღებდა. ყრილობაზე ხსენებული ბალშევიკები არაფერ საშუალებას არ ერიდებოდენ მენშევიკების გასაშავებლად. ატყუებდენ დელეგატებს ვითომ მენშევიკებმა ყასიდათ მოიწვიეს თათრები და ნემცები ბალშევიკების წინააღმდეგ, ვითომ მენშევიკები შეუერთდენ თათრის მემამულე ბეგებს და ქართველ თავად აზნაურობას და გლეხებს არ მისცემენ არც მიწას არც თავისუფლებას. ახლა მენშევიკებმა იმიტომ გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ატყუებდენ ხალხს ბალშევიკები, რომ უფრო ადვილად უღალატონ საქართველოს გლეხკაცობას. მაგრამ თქვენ ნუ უღალატებთ რუსეთის რევოლიუციას ეუბნებოდნენ ისინი ოსებს და ისევ რუსეთთან ერთად დარჩით, მით უმეტესად, რომ თქვენი ძმები, ჩრდილო კავკასიის ოსები რუსეთში რჩებიანო. მერე რას არ ჰპირდებოდნენ ბალშევიკები ოსებს—აუარებელ მიწებს ჩრდილო კავკასიაში, პურს და სოციალისტურ წესწყობილებას. მაგრამ მიუხედავად ამისა ყრილობა მაინც არ აჰყვა ბალშევიკებს მას ისიდორეს რჩევა უფრო სჯეროდა ვიდრე ბალშევიკების. როგორც თავის დროს ისიდორემაც აღნიშნა ბალშევიკები კუდ ამოძუებულნი წავიდნენ ყრილობიდან დამარცხებულნი. დელეგატებმა გადასწყვიტეს შეკითხებოდნენ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის და მასთან დამოკიდებულების შესახებ—და ორი კვირის შემდეგ გადაეწყვიტათ საერთო ყრილობაზე ს. წუნარში, ამ ორ კვირის განმავლობაში არც ბალშევიკებს ეძინათ, გამარჯვების იმედი მაინც არ დაჰკარგოდათ, დაიწყეს აგიტაციის გაწევა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ ხალხს გაერეკათ ოსების ეროვნული საბჭო, რადგანაც ის, მათი აზრით, ნასწავლი ხალხისაგან, მენშევიკებისაგან მოსყიდული წევრებისაგან შესდგებოდა იმ დროს, როცა მენშევიკები თბილისს არ შორდებოდნენ, ბალშევ. შეიარაღებული აგიტატ. დადიოდნენ სოფელ სოფელ და ხალხს მობალშევიკე დელეგატებს არჩევინებდენ, თანაც ემუქრებოდენ—ვაი თქვენ ტყავს თუ ბალშევიკებს უღალატეთო, სულ ერთიანად ამოგხოცავთო. ამნაირად ს. წუნარში შეიკრიბა ოსების მეოთხე ეროვნული საბჭო. დელეგატები თითქმის ყველა ბალშევიკები იყვნენ. ამოარჩიეს თავმჯდომარეთ სალდათი ბალშევიკი და მდივნად ნასალდათევი, რომელმაც წერაც არ იცოდა. ყრილობას აუარებელი ხალხი დაესწრო და მიტინგათ გადაიქცა. ახლო მახლო ადგილები სავსე იყო შეიარაღებული ჯარისკაცებით, რომლებსაც ზედგავლენა უნდოდა ექონია ყრილობაზე. ლაპარაკობდა ყველა დაუკითხავად თავმჯდომარისა, აირია ხალხი, რასაც მოყვა თავმჯდომარის გადაყენება და ახალი პრეზიდიუმის არჩევა. ამ დროს ხალხში გაისმა ხმა, რომ ირაკლი წერეთელი ცხინვალიდან წამოვიდა მოხსენების გასაკეთებლად ყრილობაზე. აზმაურდენ ბალშევიკები, არწმუნებდნენ დელეგატებს, რომ ეს ის თავადი წერეთელია, რომელმაც დაღუპა რუსეთი, საქართველო და ახლა ოსების დაღუპვა უნდაო. რა თქმა უნდა, ასეთი აგიტაციის შემდეგ ყრილობა ვერ დაუხვდებოდა კარგათ ირაკლი წერეთელს. მაგრამ მისი მოხსენება მაინც დიდი ყურადღებით მოისმინეს. აქა იქ კერძო კამათები ღებულობდნენ გამწვავებულ ხასიათს. შეიარაღებული ბალშევიკები ეძებდნენ მიზეზებს არეულობის მოსახდენათ, ცოტა გაწყდა გალახეს მენშევიკები მიხა ხეთაგუროვი და სანდრო ფარნიევი. ბევრს სცდილობდნენ ბალშევიკები, რომ ყრილობა შეერთებოდა რუსეთს, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდათ და კითხვა ისევ გადადეს ექვს კვირამდისინ. ირაკლი წერეთლის რეზოლიუცია ვერ გავიდა იმიტომ, რომ ეშინოდათ ბალშევიკებისა, მაგრამ მისმა მოხსენებამ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე, რომლებმაც გადასცეს ხალხს ირაკლის აზრი, როცა დაბრუნდენ სოფლებში. მიუხედავათ ბალშევიკური დემაგოგიისა ირაკლი წერეთლის ყრილობაზე დასწრებამ და მოხსენებამ ძლიერ შეუწყო ხელი ხალხის გამოფხიზლებას. ბევრი გულუბრყვილო ახალგაზრდა, რომელიც გულწრფელად იყო გატაცებული ბალშევიკური იდეით, ჩამოშორდა ბალშევიკებს წერეთლის მოხსენების შემდეგ. — ბალშევიკებს აღარც სოფელში უგდებდნენ ყურს. ისე რომ ექვსი კვირის განმავლობაში ოსები საკმარისად გამოფხიზლდენ. ჯერ ერთი ბალშევიკების ზღაპრებს ნიადაგი დაეკარგა. ვერც ცხინვალის აჯანყებამ, ვერც დუშეთის და ვერც საჩხერის ისინი მიზანს ვერ მიხწია. მერე რუსეთიდან კარგი ამბები არ ესმოდათ, არამც დუ სამოთხე, ჯოჯოხეთიც კი მოენატრება კაცს ისეთი არეულობაა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ძმა ძმას არ ინდობს, ოსი ოსს ებრძვის, ყაზახები ბალშევიკებს, მთიულები ყველას და ამნაირად ყველგან დაფრინავს სიკვდილი, ამბობდნენ ჩრდილოელი დელეგატები.

ასეთ პირობებში ჩავარდნილი ოსეთის ხალხი, რა თქმა უნდა, თავის ბედისწერას ველარ მიანდობდა ქარაფშუტა დამღუპველ ბალშევიკებს, მაგრამ მენშევ… [illegible] ამიტომ… [illegible] ყრილობაზე ხსენებული დელეგ… ამოარჩიეს. ისევ „უფროსებმა“ გვიშველ… მათ არც ბალშევიკების შეეშინდ… და ოსებს სწორ გზაზე დააყენებ… ამბობდა ხალხი სოფლის ყრილობაზე.

65 დელეგატიდან ყრილობაზე ჩამოსული 57 დელეგატი საქართვე… ყველა კუთხიდან, სადაც კი ო… სცხოვრობენ, გარდა ქსნის ხეობისა, ჩვეული თითო წარმომადგენელი … სულისაგან.

უკანასკნელი სამეურნეო აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობს ახლოვებით 75 ათასი ოსი, მეტი … ბარში, ვიდრე მთაში. დელეგატების რაოდენობა პირველად იყვენ წარმ… გენილი ეროვნულ ყრილობაზე და მისდევდენ არც ერთ პარტიას. ამ … ტიო ხალხის სულის ჩამდგმელი ყრ… ლობაზე გახდა დეკანოზი ჯიოევი, პოლკოვნიკი ფილიევი, დანარჩენ… გროვდებოდენ ზოგი გიორგი გაგლო… ვის (ს. დ.) და ზოგი პეტრე თედეე… (ს. რ.) გარშემო. დელეგატების სულ… კვეთება ხელად გამოაშკარავდა: ორ… ტორებისაგან მოითხოვდენ ელაპარა… კათ ოსეთის მდგომარეობაზე და … რუსეთის რევოლიუციის ისტორიაზე … პარტიებზე. განსახილველი იყო შემდ… კითხვები:

1) მოხსენებები ადგილებიდან.
2) მოხსენება ეროვნულ საბჭოსი … ვის მოქმედების შესახებ.
3) კითხვა მომენტზე და ეროვნ… თვითგამორკვევაზე.
4) იარაღის აყრის შესახებ.
5) არეულობის შესახებ საჩხერის … იონში.
6) მართვა-გამგეობის მოწყობა ოსებ…
7) ეროვნული საბჭოს ახალი არჩ… ნები.
8) სხვადასხვა კითხვები:
ა) ეკლესია და ოსების სამღვდელო… ბა, ბ) ჯავის ხეობაში უღელ-ტეხილ… გზის გაყვანა, გ) ბეჭდვითი ორგან… მოწყობა, დ) ფულის მოგროვება საბჭ… ხარჯების დასაფარავად.

კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარ… ალექსანდრე თიბილოვმა. მოკლეთ შეეხ… ახლანდელ მდგომარეობას, მოიგონა რუ… სეთში წამებული ხალხისთვის თავდად… ბული მებრძოლნი და სთხოვა ყრილ… ბას პატივიეცათ პლეხანოვის ხსოვნ… ფეხზე ადგომით. შემდეგ ამოირჩიეს პრ… ზიდიუმი: თავმჯდომარედ ა. თიბილოვ… მის ამხანაგათ მიხა ხეთაგუროვი და … აიდაროვი; მდივნებათ: ა. გაგლოევი, … ყოჩიევი და დ. ჯიგკაევი. საპატიო თა… მჯდომარედ არჩეულ იქნა ჩრდილო-კავ… კასიიდან ჩამოსული ივანე ფილიევი.

გოგია.

(შემდეგი იქნება).

## საქართველოს სამხედრო გზა

(მთავრობის საყურადღებოთ).

მსურს მთავრობის ყურადღება მივაქციო იმ არა ნორმალურ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფება დღეს საქართველოს სამხედრო გზა.

აღნიშნული გზა ბევრ ალაგას დაზიანებულია და უეჭველად შეკეთება სჭირდება, თორემ რაც დრო გადის იგი უფრო ინგრევა და ბოლოს მისი განახლება ბევრათ ძვირათ დაჯდება.

გზის გაფუჭება საზოგადოთ მის მოუვლელობით აიხსნება, რასაც შემდეგი ზიანები მოჰყვა: 1) „კიუვეტების“ ავსება მიწით და ქვიშით, რის გამოც წყალი პირდაპირ გზაზე გადმოდის, რეცხავს მას, მიაქვს ქვიშა და გზაზე ამობერილი ქვეები ჩნდება, რაც ეტლებს საშინლად აზიანებს: ეტლები რახ-რახით მიდიან და ცხენები ადრე იღლებიან; 2) გზაზე ბევრ ალაგას წინათ დამტვრეული, წვეტიანი ქვები დაუყრიათ, „ტრაქტორის“ დაუტკეპნელად, რის გამოც ეს ქვეები მიწაში არ გამაგრებულან, დარგვალებულან, გზაში გაფანტულნი არიან და მიმდინარე ეტლებს ზარალზე მეტს არას აძლევენ, რაკი ცხენებს მეტი ჯაფა ეძლევათ ამ ქვეებზე გორგოლების გადატარებით; 3) ორ ალაგას არის პატარა ხიდები წყლისაგან გაფუჭებული და განადგურებული; ერთი ამათგანი არის ფასანაურიდან 7 ვერსის მანძილზე ანანაურისაკენ; ამ გაფუჭებულ ხიდებს ეტლები გარს უვლიან ქვიშიან რიყეზე, წყალზე და ბოლოს ისევ შარა-გზაზე გადადიან. ყველა ამას რომ დაუმატოთ ის, რომ გზაზე ორი „ტრაქტორი“ დგას, რომლებსაც მოუვლელობის გამო ჟანგი მოეკიდა და რაც დრო გადის თანდათან უფრო ფუჭდებიან, მაშინ ჩვენ მთელი სურათი გვექნება სამხედრო გზის მდგომარეობისა.

ლაპარაკი, მგონი, მეტია იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს გზა ეკონომიურ-სტრატეგიულის მხრივ. რაც კარგათ შევინახავთ და მოვუვლით ამ გზას, მით უფრო კარგია ჩვენთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ავტომობილების და საზოგადოთ ეტლების მიმოსვლა უფრო მარდათ, უფრო სწრაფად იწარმოებს. ყველასათვის ცხადია ისიც, რომ დღეს ეს სამხედრო გზა, ერთად ერთი გზაა, რომელიც გვაერთებს ჩვენ ჩრდილო კავკასიასთან; ბაქოზე მიმავალი ჩრდილო კავკასიაში რკინის გზა დაღესტანში ბევრ ალაგას განადგურებულია და თუნდაც ბოლოს აღდგეს იგი, მაინც ჩვენთვის სასარგებლო ვეღარ იქნება, რაკი ჩრდილო კავკასიიდან წამოსულ საქონელს მოუხდება ხოლმე ორ სახელმწიფოზე გამოვლა,—დაღესტანზე და ადერბეიჯანზე და შემდეგ ჩამოსვლა საქართველოში, რაც საქმეს გაართულებს, დააგვიანებს და გააძვირებს კიდეც.

ყველა ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო საჭიროა მთავრობამ მიაქციოს სამხედრო გზას განსაკუთრებული ყურადღება, შეადგინოს სათანადო შტატი ინჟინერ ტეხნიკებისა, მოსთხოვოს მთავრობას საჭირო კრედიტი და გზის განახლებას შეუდგეს.

ალ. შ—ლი

## ლტოლვილები სიღნაღის მაზრაში

„ტრუდოვოე ზნამიაში" მოთავსებული იყო წერილი სიღნაღის მაზრის ლტოლვილთა შესახებ, საიდანაც ადმინისტრაციაზე და მაზრის კომისარის თანაშემწე კაკი ტყემალაძეზე იყო ნათქვამი, რომ ისინი არავითარ შემწეობას არ უჩენდენ ლტოლვილებს. გაზეთი ეკითხებოდა მთავრობას, თუ როგორ უყურებდა ის მაზრის ადმინისტრაციის ასეთ საქციელს.

ნუხის მაზრაში არის სოფელი კაიაბაში, სადაც იდგა სომხის ბათალიონი. ადერბეიჯანის მთავრობამ ულტიმატუმი წარუდგინა ამ ბათალიონს, სამი დღის ვადაში იარაღი ჩაებარებია ადერბეიჯანის მთავრობისათვის; ამ მიზნით უკანასკნელმა ჯარიც გამოგზავნა იარაღის ასაყრელათ. მთავრობის ჯარი მიუახლოვდა მათ თეთრი დროშებით, მაგრამ სომხის ბათ. მათ ტყვიები დაუშინა რის შემდეგ ადერბეიჯანის მთავრობის ჯარმა ტყვიითვე უპასუხა და სომხის ბათალიონისაგან გადარჩა მცირე ნაწილი. რაც შეეხება იმას, რომ იქ სომეხ თათართა ქლეტა იყოვო, ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც სომხის სოფლები იმ ადგილიდან, სადაც ბათალიონი იდგა 40 ვერსით მოშორებული იყო და არავითარი ქლეტა იქ არ მომხდარა. უწესოება გამოიწვია მხოლოდ პოლკ. ტერ სტეფანოვმა, რომელმაც ამ სროლის დროს შემოირბინა სომხის სოფლები და ყველას შეატყობინა, რომ თათრები სომხის ლტოლვილებს მოსდევენ, ხოცვენ და თვით სომხის სოფელსაც ქლეტენო. ყოველივე ეს ტყუილი იყო ლტოლვილებს არავინ არ მოსდევდა.

სამაზრო კომისარიატმა, როგორც კი გაიგო, რომ ლტოლვილები მოდიანო, მაშინვე გაგზავნა 20 გვარდიელი, რომ ისინი არ შემოეშვათ, მაგრამ სანამ ჩვენი გვარდიელები მივიდოდინ, ლტოლვილები უკვე შემოსულან. ჩვენ მივეცით მათ ერთი კვირის გაჩერების ნება.

ლტოლვილები დაბანაკებული იყვნენ სიღნაღის მაზრიდან 35 ვერსის მანძილზე ზემოქედში ქვემოქედში და თუქურმიჩაში.

ეხლა მინდა ვსთქვა თუ როგორი იყო სოფლის დამოკიდებულება ამ ლტოლვილებთან.

ამ სამ სოფელში დაბანაკებულ ლტოლვილებმა შემოიტანეს ხოლერა. სოფლებს პირველ ხანებში კარგი დამოკიდებულება ქონდათ მათთან, ყიდულობდნენ მათგან ნოხებსა და სხვადასხვა ავეჯეულობას და თვითონაც აძლევდენ პურსა და სხვა მათთვის საჭირო საგნებს. ხოლერამ გლეხებში დიდი არეულობა გამოიწვია და ლტოლვილები გარეკეს ქვემოქედში როცა ქვემოქედშიდაც გავრცელდა ეს სენი,—უკანასკნელებმაც არ დააყენეს თავის სოფელში და გარეკეს ზემოქედში. გზა და გზა ეს მიმავალი ლტოლვილები სოფლიდან სოფელში გადასვლის დროს ოხრებდეა პურს, აფუჭებდენ წყალს და სხვა ასეთ გულის ამღვრევ საქმეებს ჩადიოდენ. პირველად, როცა სამაზრო კომისარიატმა მათ ნება მისცა ერთი კვირით გაჩერების დაავალა, რომ სოფლებიდან პური არ ეყიდნათ. იმათ ამისი პატყვა მისცეს კომისარიატს და ამავე დროს მათმა კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა თფილისის ლტოლვილთა კომიტეტს „ფული გამოგვიგზავნეთ პურის შესასყიდვათო". (ეს დეპეშა ჩვენ ხელში გვაქვს). ყოველივე ასეთმა საქციელმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქიზიყელებს შორის და მოსთხოვეს კომისარს, ნება მიეცა მათთვის ლტოლვილები გაერეკათ.

ჩვენ გვინდოდა ისინი გაგვეგზავნა სამხედრო გზით, მაგრამ თერგის მთავრობამ მათ გაშვებაზე უარი განაცხადა. სამაზრო კომისარიატმა და თავდაცვის კომიტეტმა აირჩია კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებია ლტოლვილების საქმე და მათი გაგზავნა. კომისიამ გაიგო თფილისის ლტოლვილთა კომიტეტისაგან, რომ ადერბეიჯანის მთავრობა მომხრეა ისინი უკან დააბრუნოს თავის ტერიტორიაზე, თუ უკანასკნელი დაემორჩილება ადერბეიჯანის მთავრობის კანონებსო. ეს მისალები მუხლი იყო ლტოლვილებისათვის და ჩვენ გამოვუცხადეთ, რომ ორი დღის ვადაში ისინი გასულიყვნენ სიღნაღის მაზრიდან. ორი დღე გავიდა —მას კიდევ სხვა ორი დღეები მიემატა და ასე 14 დღე დარჩენ სიღნაღის მაზრაში. ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ კომისარიატს 150 კაცი ყავდა მათ დარაჯებათ, რომ ვინმეს რაიმე არ წაერთმია და ეს დაუჯდა კომისარიატს 15 ათასი მან. მათი ამოდენი ხნის დაგვიანებამ კიდევ უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში, რადგანაც ხოლერა დღითიდღე ვრცელდებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ სამაზრო კომისარიატმა მათ პურის ყიდვა აღუკრძალა, ისინი მაინც ყიდულობდენ პურს —ადგილობრივი ადმინისტრაციის სრულებით ხელი არ შეუშლია მათ თვის ამაში, რადგანაც იქ ბევრი იყო გაჭირვებულები. რა გააკეთა მათმა კომიტეტმა? კომიტეტს გამოცხადებული ქონდა ერთი კვირის შემდეგ ლტოლვილები უნდა გავიდნენ აქედანო; კომიტეტს ესეც არ გამოუცხადებია მათთვის სწორეთ იმ დილამდე, რა დღესაც ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ. მათ საგზალი უნდოდათ, ბოჭკები წყალი და სხვა, ამაზე იმათ არ უზრუნავთ. არამც თუ წასვლის დროს, ლტოლვილების იქ ყოფნის დროს სრულებითაც არ უზრუნვიათ მათთვინ. აქ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ლტოლვილების ჩამოსვლამდე, ტერ-სტეფანოვი სწერს მღვდელ რომან ნატროშვილს (ამ მღვდელს დიდი გავლენა აქვს სიღნაღის მაზრაში): „თათრებს უნდათ დაიკავონ შირაქის ველი; ჩვენ დახმარებას გაგიწევთ და თუ შამოვიდენ გავრეკოთ. იმ გზას, რომელიც აერთებს ნუხისა და სიღნაღის მაზრას, ჩვენ ვერავის დავუთმობთ და სხვა", წერილი (წარმოდგენილი იქნება მთავრობასთან ამ დღეებში). ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა ერთი სომეხი გ. დ. და მითხრა: ლტოლვილები გვინდა შემოვიყვანოთ და როგორ შეიძლება მათი შემოყვანაო". მე მაქვს იმისი საბუთები, რომ მათ სურდათ სიღნაღის მაზრის იმ ადგილებში, სადაც რუსები ესახლენ, უკანასკნელის რუსეთში წავლის შემდეგ მათ უნდოდათ რუსების სახლები ეყიდნათ და აქ დასახლებულიყვნენ. ზოგიერთ რუსებმა ბეც კი მიიღეს სომხებისაგან (ლტოლვილების უმრავლესობა, რომელნიც სიღნაღში შემოვიდენ, მდიდრები იყვნენ).

თვით ლტოლვილები ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ ტერ-სტეფანოვის: მოგვატყუა, კარგ ადგილას დაგასახლებთ, გვითხრაო.

აი რა ჰქონდა მიზნათ ტერ სტეფანოვს როცა ლტოლვილები შემოჰყავდა სიღნაღის მაზრაში. მეთოთხმეტე დღეს ლტოლვილები გავიდნენ სიღნაღის მაზრიდან. დარწმუნებული ვარ რომ კიდევ დარჩომილიყვნენ ერთი დღე, უბედურება მოელოდა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან არა მარტო ლტოლვილებს, არამედ ყველა იქ მცხოვრებ სომხებს. ადგილობრივმა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია მათ იმითი, რომ შესძლო შეეჩერებია ქიზიყელები და არ გაეშვა ლტოლვილების ამოსაჟლეტად, დახმარება გაუწია აგრეთვე წასვლის დროს და სხვა. იმაზე მეტი ხელის წყობა ლტოლვილებისადმი რაც ზემოთ იყო ნათქვამი არც ერთ მთავრობას არ შეეძლო, და ზოგიერთი პირების გამოლაშქრება და ადმინისტრაციის გამტყუნება, რომ ლტოლვილებს ხელი არ შეუწყვესო, სიმართლეს მოკლებულია.

სიღნაღის მაზრის კომისარი პ. გელაშვილი.

## ანარქია ზუგდიდის მაზრაში

შევეცდები სულ მოკლეთ აღვნიშნო ზუგდიდის მაზრის მეტათ კრიტიკული მდგომარეობა და მისი გამომწვევი მიზეზებიც.

დღემდე ზუგდიდის მაზრაში ბევრი ახალი ფრონტები იყო. მაგალითად, ხორშის, ხობის, ნარაზენ ზენის, აბასთუმანის, წალენჯიხის, ცაიშის, ანაკლიის, ზუგდიდის, რეხის და სხვადასხვა.

სახლები ყველგან ტყვიითაა დახვრეტილი, ხიდები გადამწვარია, ტელეგრაფტელეფონის მავთულები ყველგან დაგლეჯილ დაწყვეტილია და თან წაღებული, მიუბეს კამეჩები და ბევრ ალაგას მოსტეხეს ტელეგრაფის რკინის ბოძებიც.

მთავრობის შეიარაღებული ძალა ყველგან აჰყარეს იარაღი, გარდა ზუგდიდში მყოფ ჯარის კაცებისა. 8 აგვისტოს დაბა ხობიდან მთავრობის ჯარის გაქცევის შემდეგ ბრბო შეცვივდა დაბა ხობში და და ყველაფერი მილეწ-მოლეწეს. დღეს ის უდაბნოს წარმოადგენს... გაჰეჩანებული, დანგრეულ-წაღებულია ყველაფერი. ურმებით გაზიდეს, არ დასტოვეს რკინის კასაც და თაროებიც... დღეს თქვენ იქ კაცს ვერ ნახავთ, დაბა უპატრონოთაა მიტოვებული... უმთავრეს თუ უბრალო შარა გზაზე ყოველგვარი მგზავრობა შეწყვეტილია... გახშირდა ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, შურის ძიება. ყველგან წარა-მარა უმიზნო სროლაა..

არა უკეთეს მდგომარეობაშია სენაკის მაზრაც. სენაკიც საშიშ მდგომარეობაშია. მის გარშემო ყოველ ღამე სროლაა. რამოდენიმე სოფელი ბრბოს ხელშია.

სენაკ-ქვალონში სდგას „ჯავშნიანი მატარებელი".

ანარქიის გამოწვევაში დიდი დანაშაული მიუძღვით ეს-ერებს, გადაიკითხეთ მათი ქუთაისური გაზეთები და თქვენთვის აშკარა აქნება, რომ ისინი ბრბოს პირდაპირ გვისისინებენ... ამას ზედ დაურთეთ გაბოლშევიკებული ჯარისკაცები, რომლებსაც თუ „ბოლშევიკს" არ უწოდებდენ თავიანთ თავს სასირცხოთაც მიაჩნდათ... აი ესენი ეწეოდენ ხალხში პროვოკაციას ვითომ ისინი სოციალ-დემოკრატიამ დაღუპა, „№ 1 ლმა" რომელ პარტიას სამეგრელოს გლეხობა მხარს უჭერდა... ამას მიუმატეთ სამეგრელოში მოყვალე რეაქციონერი თავად-აზნაურობა, ყოფილი „სტრაჟნიკ-პოლიციელები", საშინელი სიძვირე და სხ. ხალხს აღიზიანებდენ და ყოველგვარ უბედურობის მიზეზად „მენშევიკებს" ასახელებდენ... ნურავინ იფიქრებს, თითქოს მეგრელ გლეხებს და მის შვილებს გაჭირვებამ აალებინა იარაღი ხელში და იმიტომ იბრძვის ან ეს აჯანყება აგრარული ნიადაგზე იყოს გამოწვეული, ანარქიის მიზეზები მთავრობის სისუსტეა. ახლა მთავრობას მეორე გზა არა აქვს, ის თავისი ძლიერებით უნდა შეებრძოლოს ამ დამღუპველ ანარქიას.

ვასო მუშა.

## გზიდან

წყურვილის დესანტის წინ ერთი კარგი მუშაობა მოგვივიდა, რაც ძალიან გამოსადეგარი შეიქნა მალე. ჩვენ ჩამოვიარეთ გაბოლშევიკებული მეგრელების სოფლები. პირველად მივედით 20 ივნისს სოფ. დრანდაში—ბოლშევიზმის ბუდეში. ამ სოფელმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს სახალხო რაზმს კოდორის ხიდესთან, სროლით შეხვდა რევოლიუციონურ ჩვენს ჯარს. ყველანი გვიშლიდენ შესვლას, ეშინოდათ, რომ იქიდან უვნებლად ვერ წამოვიდოდით, რომ მათი შეიარაღებული ბოლშევიკები დაგვხოცდენ გზაში, ან ხალხი დაგვატყვევებდა. ჩვენ მაინც წავედით მიტინგზე, რომელიც უნდა მოეწყოთ წინეთ ამისთვის დავალებულ პირებს. მიტინგი გაიმართა სკოლის ეზოში. ხალხი ბლომათ დაესწრო. მე ქართულად და გიზო ან ძემ მეგრულად ვილაპარაკეთ. დიდი ყურადღებით მოისმინეს, მაგრამ ნდობა მათი ვერ დავიმსახურეთ. უფრო ხანში შესული ნაწილი ჩვენსკენ იყო და სხვებს აჯერებდენ, დანარჩენები კი არაფერს არ ამბობდენ. სწორეთ ამ სოფლიდან დაგვიშინეს ჩვენ თოფები და ჩვენს შემდეგ მიმავალ გენერალ მაზნიაშვილსაც. მათი ბოლშევიკები იარაღით ხელში ტყეში იდგენ და გამვლელებს ძარცვავდენ. ხალხმა წამოგვიყენა ორი მოთხოვნილება, რომ დაგვეყენებია მცველები ძველ საყარაულოებზე და გაგვეხსნა საფერშლო პუნქტი. ორივეს დავპირდით. პირველი დაპირება მეორე დღესვე შევასრულეთ და ოთხ ადგილზე სოხუმიდან მდ. კოდორამდე ოც-ოცი კაცი ჩვენი ჯარისა ჩავაყენეთ. მიტინგი მაინც უნაყოფო არ გამოდგა, ცოტაოდენი ცვლილება მათ შეგნებაში შეიტანა. მოსაღამოვდა და შინ წამოსვლა დავაპირეთ. მაგრამ ხალხში რაღაც ჩურჩული შეიქნა. მიზეზი ვიკითხე. მირჩიეს გამოცდილებმა, მოხუცებმა, რომ იმ ღამეს არ წავსულიყავით, რადგან შეეტყოთ, რომ გზაში ჩასაფრულიყვნენ შეიარაღებულები და ჩვენს გავლას უცდიდენ, რომ მათ იმ დღეს ორი-სამი მგზავრი გაეძარცვათ. ჩვენზე ეთქვათ: აქ მობრძანდენ და აქ ვნახავთ, როგორ უნდა ლაპარაკიო. მე პირდაპირი მავთულით ვაცნობე სოხუმში ჩვენებს. ჩვენებმა ზარბაზანი დაუშინეს იმ ადგილს, სადაც ბოლშევიკები იყვნენ. ცნობა მათაც მიეღოთ, ჩვენ გამო შეშინებულიყვნენ და მირჩევდენ დაგვეხია უკან ოჩამჩირისაკენ 35 ვერსის მანძილზე და იქ მატორს მოგვაწვდიდენ მეორე დილით. ხალხმა იქით წასვლაც არ გვირჩია, თუმცა ალმოსავლეთით, კოდორის გაღმა, სადაც აფხაზების სოფლებია და სადაც ბოლშევიკებს ფეხი ვერ მოეკიდებია გლეხებზე თავადების გავლენის გამო, ჩვენ ხიფათი არ მოგველოდა. ის ღამე დრანდის მონასტერში გავატარეთ ბერებთან, რადგან ვერც ერთმა სოფლელმა ჩვენი მიპატიჟება სახლში ვერ გაბედა შიშის გამო, რომ თავს დაგვესხმოდენ ბოლშევიკები, ე. ი. ყაჩაღები და ჩვენ მასპინძლებსაც მიგვაყოლებდენ. დილით მოვიდა მონასტერში კომისარი და კიდევ ორი სოფლელი და თამამად გვითხრეს, რომ პირდაპირ წავსულიყავი სოხუმში, ეხლა შიში არ არისო. თურმე დაებარებინათ იმ ღამეს თავიანთი ბოლშევიკები და დაეჯერებიათ, რომ ჩვენზე თავდასხმა არ მოეხდინათ. ჩვენ უვნებლად დავბრუნდით სოხუმში. შემდეგი ყრილობა გამართა სოფელ აბჟაყვაში სტუდ. ამხ. ვერულავამ. მარტო მე მივედი სკოლასთან. არავინ არ დამხვდა. ხალხი დამალულიყო,—მთავრობის კაცი მოდის, დაგვარბევს, თოფებს წაგვართმევსო. როცა დამინახეს, რომ მარტო ვარ უჯაროთ და მთავრობის კაცსაც ნაკლებათ ვგევარ, თითო ოროლამ იწყო მოსვლა, მე მათთან გავმართე უბრალო მუსაიფი. გაიმართა ჩვენში კითხვა პასუხი, ლაპარაკი იმათ, გათამამდენ. სოფელში გავიდენ და ხალხმა იწყო დენა. მე განზრახ ლაპარაკს არ ვაჩერებდი. ბოლოს, როცა ასამდე მსმენელი შეგროვდა, მე საერთო ლაპარაკი დავიწყე და გავაცანი ჩვენი თავი, ჩვენი რესპუბლიკა. თანდათან სახეზე მხიარულება ეტყობოდათ. ვაფრთხილებდი ოსმალების შემოსევისაგან და ვუხსნიდი, რომ ასეთი საშიშროება მოგველის. ერთიან გადაუწმინდა საწყლებს გული ჩვენი მიწის რეფორმის კანონებმა. გულიანათ ხარხარებდენ, როცა ხუმრობის კილოთი ვუთხარი,—7 დესეტინის პატრონმა თავადმა იბრწყინვალოს, რამდენიც უნდა, მზეზე ჩვენსავით მუშაობით, წვიმაში და ქარში მისი ბრწყინვალე ფერი გაუფერინდება და ჩვენსავით დაებლაწება სახე და მით უკეთესი მისთვის, თავადისგან კაცი გახდება, ჩვენსავით სასარგებლო კაცი. მომცეს კითხვები: მართლა მოგვყავთ თქვენ ბატონყმობა?

— ჩვენ წინააღმდეგი ვართ ადამიანების ქლეტისა მარტო იმიტომ, რომ ის თავადის გვარისაა, არავის არ დავანებებთ შეეხოს თავად-აზნაურის ცოლშვილს. ჩვენი კანონი თანასწორათ იფარავს ფიზიკურ არსებობას ყველა კაცისას, ვინც უნდა იყოს იგი, სანამ ის არ გამხდარა მთელი ქვეყნის, სახელმწიფო ორგული და მოღალატე. ჩვენი მიწის კანონები გითხარით და განა ეს ბატონყმობის მობრუნებას ნიშნავს?—ვეკითხები მე.—არა, არა, ეს მშვენიერი კანონიაო,—დაიძახეს.

მართალია, რომ თქვენ წლიურათ ყოველი მამაკაცზე აწესებთ გადასახადს 100 მანეთს, დედაკაცზე—50 მ., ცხენზე—70 მ. (ცხენი აქ უფრო ძვირად ფასობს, ეტყობა, ვინემ ქალი), ძროხა, კამეჩი, ხარი—25 მან., ფანჯარა 15 მანეთიო? აბა რას ვეტყოდი ამ უგუნურ ცილისწამებაზე, რომელიც მეჭორე ბოლშევიკებს დაეთესათ ხალხში, თქვენც მიხვდებით. მოხუცმა გამოიწოდა დაკოჟრებული ხელები და თვალცრემლიანი მევედრებოდა—ამ ხელებით არის მონაწევი, რომ სამ ფუთზე მეტი არც კი იქნება ჩემი სიმინდი და ნუ წამართმევო.—ვინ გითხრა, რომ წაგართმევ მეთქი? მან იქვე თვალით ძებნა დაუწყო მთქმელს,—აი აქ არისო, მარა მეჭორე ნაძირალი გაპარულიყო. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა და დაიმედებული გამომეთხოვა.

ასეთივე ამბები იყო შემდეგ სოფლებშიც მერხეულში და წებელდაში. ხალხმა პირველად შეიტყო, რომ ჩვენ რევოლიუციონერები ვართ, რომ ჩვენი მთავრობა სახალხო და ხალხთა ინტერესების მედგარი და ჭეშმარიტი დამცველია, ჩვენი წითელი რაზმი თავადებს არ დაუქირავებიათ და ხალხზე არ მიუსევია. ცრემლებს ძლივს ვიკავებდი იმ საცოდაობის გამო, რაშიაც უნამუსო პროვოკატორებს, ნაძირალებს ისინი დაუფრთხიათ და შეუძულებიათ მათი დამცველი დემოკრატიული წყობილება. გავიგონე დაშლილი კრებისაგან ჯგუფში ლაპარაკი: ხომ არ გვატყუებს,—არა, არ გავს ისეთს კაცსო, უთხრა მეორემ. მატყუარები ის ჩვენი ბოლშევიკები არიანო, ეს სიტყვები უფრო დაბლა სთქვა. ერთი ჭირი მარგებელია, იტყვიან, და ასეთი სარგებლობა მოიტანა წყურვილის დესანტმა. გაბოლშევიკებული მეგრელები ერთბაშათ გამოაფხიზლა და ჩვენკენ გამოაქანა. ამ უკანასკნელ ბოლშევიკურ გამოსვლაზე მეგრელები არ განძრეულან და უფრო და უფრო ჩვენ გვეკროდენ, გვცნობდენ მოსდიოდა მეგრელთა სოფლებიდან დელეგაციები. ახლა იგრძნეს ჩვენი სიტყვების სინამდვილე, როცა მათ მიტინგებზე წინაკვირაში ველაპარაკებოდი, რომ ისინი სათათრეთის შემოსვლას ხელს უმართავენ თავისი ბოლშევიკობით. შეშინებული გვეკითხებოდენ, რა ვქნათო. ჩვენც შესაფერ დარიგებას ვაძლევდით. წინაკვირაში ერთი თოფიც არ გვაქვსო გვეუბნებოდენ. ახლა კი ამბობდენ—გვითხარით და დღესვე 2000 შეიარაღებულები გამოვალთ და გვერდში ამოგიდგებითო. შიში მიჩვენე—გაქცევას გიჩვენებო. სწყევლიან ბოლშევიკებს, სწყევლიან თათრებს და მათ აგენტებს.

გავიდა 27, 28 ივნისი და თათრები ადგილიდან არ იძროდენ. ჩვენმა ჯარმა კი დაიკავა პოზიცია კოდორის ხიდთან იმ სანგრებში, რომლებიდანაც ჩვენს წითელ რაზმს ვ. ჯუღელის მეთაურობით ესროდენ ბოლშევიკები. 29 ს დილით გენერალიც მოვიდა გუდაუთიდან და შევუდექით თათრებს. გადავწყვიტეთ იმავე დღეს წავსულიყავით წყურვილში თათრების პოლკოვნიკთან მოსალაპარაკებლად, მე როგორც მთავრობის წარმომადგენელი, სამხედრო ძალის მხრით პოლკ. ჩხოტუა, რომელსაც გენერლის ულტიმატუმი მიქონდა 24 საათში გაეწმინდათ ჩვენი ტერიტორია და სამი წარმომადგენელი აფხაზთა საბჭოსი—ვარლამ შერვაშიძე, მღ. თუმანოვი და ერთიც გლეხი. გზაში აღელვებული და შეშინებული ხალხი გვხვდებოდა, რჩევას გვეკითხავდა. შეშინებოდათ არა მარტო მეგრელებს, არამედ თვით აფხაზებსაც, რომლებიც ინსტიქტიურად გრძნობდენ, რომ ამ ავანტიურას კარგი არაფერი მოყვება მათთვის. დაწყევლით იხსენიებდენ იმას, ვინც თათრების ასკერები მათ ქვეყანაში მოიყვანა, უფრო ალ. შერვაშიძეს. შევედით ალ. შერვაშიძის ფართო ეზოში, რომელიც ჩვენი მისვლისას სავსე იყო ცხენებითა და კაცებით და გამალებული ეზიდებოდენ თოფებს. დუღდა მუშაობა. ზოგი დატვირთული გამოდიოდა ეზოდან, ზოგი რიგს უცდიდა და ზოგიც ახლა მოდიოდა სოფლებიდან. თითო ცხენოსანს მიქონდა იმდენი, რამდენსაც ზიდავდა ცხენზე მჯდარი კაცი, 5, 10, 15 თოფი. ეტყობოდა, რომ თოფების დარიგება ახალი დაწყობილი არ იყო—უზიდავთ ღამით და დღისით. ჩვენმა მისვლამ შეაკრთო ხალხი და გახურებული მუშაობა შენელდა; გამოგვეგება ახალგაზრდა თათრის აფიცერი, სალამი მოგვცა და ცაცხვის ძირში მჯდომ პოლკოვნიკთან მიგვიწვია. ორივე აფიცერი აფხაზურად კარგად ლაპარაკობდენ. ლაპარაკი ამ ენაზე გაიმართა. ჩვენ—წარმომადგენელნი ვლაპარაკობდით რუსულად და ითარგმნებოდა აფხაზურად. თათრის პოლკოვნიკმა აგვიხსნა მათი მოსვლის მიზანი, ჩვენო, სთქვა მან, მოვედით ჩვენ ძმებთან აფხაზებთან, ჩვენ ყველანი მუხაჯირი აფხაზები ვართ. ყოველთვის ჩვენი სული ჩვენ საყვარელ სამშობლოში საყვარელი ძმებისკენ მოილტოდა, მაგრამ ძველი მთავრობა რუსეთისა ამის ნებას არ გვაძლევდა. ახლა თავისუფლება არის თქვენს ქვეყანაში, არ გვინდა წყეულ სათათრეთში მეტი ყოფნა, გვინდა ჩვენ მამა-პაპეულ ქვეყანას დავუბრუნდეთ. აქ სათათრეთის მთავრობა არაფერ შუაშიაო, მან არც კი იცის ჩვენი აქ წამოსვლაო.

38 წელიწადი სათათრეთის ჯარში ვმსახურებო და ამ ეპოლეტებს მოვიგლეჯ და ენვერ-ფაშას წინ დავუყრი, ოღონდ მეღირსოს ჩემს ქვეყანაში დაბრუნებაო, ასე ფიქრობენ ეს ასკერებიც, რომელნიც თან მომყავს, ყველანი ესენი აფხაზები მუხაჯირები არიანო ჩვენ ძალიან გავოცდით, როდესაც თქვენ ასე შეშფოთებული ხართ და ჯარებიც კი დაამზადეთ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ, თუ ნებას არ მოგცემთ ჩვენს ძველ სამშობლოში ჩვენ ძმებთან ცხოვრების ნებას, გვითხარით და წავალთო. ჩვენ უფრო ის გარემოება გვაწუხებსო, სთქვეს—რომ ჩვენს ძმებსაც არ დარჩათ სასიამოვნოთ ჩემი მოსვლაო. „ძმები"-კი ოფლში იღვრებოდენ და თოფებს გაცოფებულები ეზიდებოდენ. რიგი ლაპარაკისა ჩემზე [illegible] მე გამოვთქვი ჩემი მწუხარება [illegible] გამო, რომ მათმა ასეთმა ძმურმა სიყვარულ[illegible]მა ისეთი სახე მიიღო, რომელიც თვით ძმებს უქადის დიდ უბედურებას. თქვენ ალბათ გეცოდინებოდათ სათათრეთშიც, რომ მოხვიდოდით სხვა ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში ნება-დაურთველად ორივე მთავრობისა —სათათრეთსა და საქართველოისა, რომლებიც თავის წყრომას თქვენ და „ძმების" მიმართ მალე გამოსთქვამენ და რთულ გასაჭირში თქვენცა და მათაც ჩააგდებენ. სათათრეთის მთავრობას სრული უფლება აქვს უსაყვედუროს ჩვენს მთავრობას, რომელმაც თავის ქვეყანაში შემოუშვა მისგან ჩუმათ გამოპარულნი შეიარაღებულნი 400 ჯარისკაცი, რომელთაც წამოუღიან თან სახელმწიფო კუთვნილი დიდძალი იარაღი—თოფები, პატრონები და პულემიოტები. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა უკმაყოფილოა თქვენი ასეთი ნაძალევი შემოსვლით მის ქვეყანაში იარაღით დატვირთულნი და თქვენც და თქვენს „ძმებსაც" მოსთხოვს პასუხს. ჩვენ სტუმრების მისაღებათ კარები გვაქვს და ფანჯრიდან შემოსულებს ეჭვის თვალით ვუცქერით. თქვენც საეჭვონი ხართ ჩვენთვის და მე, პირიქით, თვით მიკვირს თქვენი გაკვირვება იმის გამო, რომ ჩვენ იარაღი ავისხით და პოზიციები გავამაგრეთ. მეტსაც ვიტყვი—უკეთუ თქვენ ძალიან დაჩქარებით არ გაგიწორებია თქვენი „შეცდომა" და ნაჩქარევათ არ დაბრუნებულხართ სათათრეთში, ჩვენ იძულებული ვიქნებით ზარბაზნები მივაყენოთ ამ სოფელს, და „ძმების" სიყვარული გავალებთ ისინი უბედურებაში არ ჩააგდოთ, აგვაცდინეთ ჩვენცა და მათაც მარცხი. ჩვენი მთავრობის სახელით გაცხადებთ სრულიად გადაჭრილად და უკანასკნელად მალე აიბარგეთ აქედან. საპასუხო სიტყვიდან გამოირკვა, რომ სათათრეთის მთავრობას ყოველივე სცოდნია და იარაღიც ნებართვით მოუტანიათ. გამოირკვა ისიც, რომ ძმები მოსულებში ძალიან ცოტა ყოფილა და ორი მესამედი მამალი თათარი ასკერები ყოფილან. ახალგაზრდა აფიცერმა ვერ მოითმინა და წამოიძახა: ჩვენ ვის მიწაზე ვართ, ნუ თუ ქართველების? მე საპასუხოთ მოვემზადე, მარა ღირსეული პასუხი გასცა აფხ. საბ. საბჭოს თავმჯდომარემ ვარლამ შარვაშიძემ, რომელმაც აუხსნა ჩვენი დამოკიდებულება აფხაზებთან და დადებული ჩვენ შორის ხელშეკრულობა, საზოგადოთ ამ დღეს მ[illegible] თანახმად გამოვ[illegible] დასხვა მოტივ[illegible] სიათის პროტესტს ვუცხადებდით. საყურადღებოა ერთი კოდორელი მოხუცებული გლეხის სიტყვა. ამ დღეს მას უთქვამს (გადათარგმნეს), რომ ჩვენ აქამდის უურისმგდებელი გასაჭირის დროს ქართველებს მეტი დამხმარე და მფარველი არ გვყავდა და დღესაც, როცა ბოლშევიკები შემოგვესივნენ, იგივე ქართველები მოვიდნენ, ჩვენთვის სისხლი დაღვარეს, დაგვიხსნეს და ვინც ჩვენსა და მაგათ შუა წყალს აამღვრევს და გადაგვამტერებს, ის ჩვენი მტერი იქნება. თქვენი მოსვლაც ასეთია და გთხოვთ თავი გაგვანებოთ. შეწუხდენ ამ სიტყვების გამგონე თათრული „ძმები" და დააყოლეს: ჩვენ გვესმოდა, რომ იქ ძმებს გვიწუხებდენ ყველანი ირგვლივ ბოლშევიკებიც და სხვებიც, იარაღი კი ჩვენებს არ ქონდათ. მივედით დასახმარებლათ და მხიარულნი ვართ, თუ ქართველები ასე კარგათ გვეპყრობიან და არ დაგვაბრუნებენ იმ სათათრეთში, სადაც წასვლა ჭირი[illegible]თ გვეჯავრებაო. მიუხედავათ ასეთი სათი მოტივისა, ჩვენ 24 საათის ვადა მივეცით გასამგზავრებლად, იარაღის ჩასაბარებლად და წამოვედი დაღამებისას სოხუმში. გზაში მიუხედავათ სიძნელისა ხალხის ჯგუფები გვხვდებოდენ — მეგრელები, აფხაზები. და შეშფოთებული გვეკითხებოდენ, რა გავაკეთეთ, საქმე რით დავაბოლავეთ. ჩვენ მივულოცეთ, რომ მალე წავლენო. ბევრმა მწარეთ გააქნიეს თავები, არ სჯეროდათ. გ[illegible]გვაფრთხილეს, გატყუილებენ, ალექსანდრე შარაშიძე ისევ ბათუმში გაბრუნდა თოფების მოსატანათ, ღამ ღამ იკრიბებიან, რაღაცას ამზადებენო. ერთნაირად ეშინოდათ ორივე ხალხის უბრალო მასსას, რომელიც ალღოთი ტყობილობს საქმის ვითარებას. ხალხი აქ არაფერ შუაშია და თუ ის ფათერაკში ჩავარდება, ცოდვას თავზე თაოსნები დაიდებენ.

ის. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## ილიკო ათანას. დოლიძე

ღრმად დამწუხრებული დავსტირი ი. ა. დოლიძის უდროვოდ გაციებულს ცხედარს.

მუშათა პარტიამ დაჰკარგა მასში მრავალთა შორის ერთი ერთგული მოამაგე. პატარა ილიკო რკ. გზ. მთავარი სახელოსნოს მუშა იყო, სადურგლო საამქროში და მუდამ მოწინავე წრეში ტრიალობდა 1901 წლიდან. მას მეფის ჯალათებმა დაუწყეს დევნა და არა ერთხელ უჩვენებიათ მისთვის ციხის ნესტიანი კედლები. ამიტომ იგი ხშირად იყო დაშორებული რკ. გზის მთავარ სახელოსნოს.

დღევანდელ დღეს ძნელია მშრომელთა ნამდვილი მოამაგის დაფასება, როცა ცხოვრება დაწყნარდება, გრძნობას გონება დაეპატრონება, მხოლოდ მაშინ შესძლებს პროლეტარიატი საერთო საქმისათვის მოამაგეთა ღირსეულად დაფასებას. მანამდის კი განისვენე ძმურად შეზრდილო ამხანაგო ილიკო! ვიზიარებ შენ ქვრივ-ობოლთა და ჭირისუფალ ამხანაგთა საერთო მწუხარებას! მშვიდობით, თუმცა შენ სხეულით გაგვშორდი, მაგრამ შენი საყვარელი საქმე უკვე ნაყოფს იღებს და ამ ნაყოფში შენც იქნები ჩაქსოვილი და დაუვიწყარი!

შენი ძმა და ამხანაგი დ. ი. ლორთქიფანიძე.

## საად.-მამულო რეფორმა

თელავის მაზრ., ნაპარეულის რაიონის მიწების მიმღებმა კომისიამ 31 ივლისამდე, დაამთავრა მამულების მიღება სამ დიდ სოფლებში: კურდღელაურში, არტანაში და სანიორეში. სოფ. კურდღელაურში მიღებულია—1588 დეს. 1700 საჟ., არტანაში—8617 დეს. 1020 საჟ., სანიორეში—375 დეს. 1700 საჟ., ამათში ვენახიანი და ხეხილი—52 დეს. 150 საჟ., სახნავ სათესი—1687 დეს. 1210 საჟ., ტყე და საბალახო—8842 დეს. 2020 საჟ., სულ მიღებულია და გადავიდა საადგილმამულო კომიტეტის განკარგულებაში 10.581 დეს. 2020 საჟ.

## მუშათა შორის

**თფილისის საქონლის სადგური.** სადგურის მუშათა გადამტვირთ-გადმომტვირთავ განყოფილებაში. მგონი არსად ისე ფხიზელ დარაჯათ არ შეხვედრიან მუშები დღევანდელ რევოლიუციას, როგორც შეხვდენ თფილისის საქონლის სადგ. მუშები. მოეწყო კავშირები, მოეწყო მუშათა ორგანიზაციები, რომელიც ცეცხლით და მახვილით იყო განადგურებული რკინის გზის ჟანდარმერიისაგან. მაგრამ იყვნენ აქ ისეთი პირები, რომლებიც ხალხის მტრებს ხელს უწყობდენ მათ უზნეო მოქმედებაში მონაწილეობას იღებდენ კიდეც. დამყარდა თუ არა ახალი წესწყობილება, სადგურის მუშებმა უმთავრესად მიაქცია ყურადღება არა-

საიმედო პიროვნებებს, სადგურიც გაიწმინდა არა სასურველი პირებისაგან. ასეთი ზომებით, რა თქმა უნდა, მიზანსაც მიაღწიეს: ბოროტება სრულებით მოისპო. პარტიული პრესის გავრცელებას და გათვითცნობიერებას, თვითგანვითარებას აქაურ მუშებში თვალსაჩინო ალაგი უჭირავს. მხოლოდ არ შემიძლია არ ვამხილო ზოგიერთებს მათი გაიძვერული მოქმედება. გასულ თვეში როდესაც აქ არ იმყოფებოდნენ მოწინავე მუშების დიდი ნაწილი ზოგიერთ უპასუხისმგებლო არამკითხე ინტელიგენციის წყალობით სადგურში პარტიული პრესის მოძრაობა კინაღამ შესწყდა, ხუთი დღის შემდეგ, რომ არ დაბრუნებულიყო ფრონტიდან ერთი მოწინავე მუშათაგანი. ამიტომ იმედია სადგურის ორგანიზაცია შესაფერ პასუხს აგებიებს ასეთ უპასუხისმგებლო პირებს.

ს. ქრისტინეშვილი.

**პირველი რაიონის მუშათა კლუბი.** 13 მარიამობისთვეს შესდგა პირველ რაიონის მუშათა კლუბის თეატრალური სექციის სცენის მოყვარეთა კრება ამხ. ძაძამიას თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: პრეზიდიუმის არჩევა, წესდების შემუშავება და რეჟისორის თანაშემწის არჩევა. ამხ. ძაძამიამ მოკლე სიტყვით მოუწოდა კრებას შეკავშირდენ მჭიდროთ და ყველამ პირნათლად შეასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა. შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვებზე. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ამხანაგი კუდუხაშვილი, თანაშემწეთ ა. ძაძამია, მდივნათ სილ. თევზაძე. წესდების შემუშავება კრებამ დაავალა ამავე პრეზიდიუმს, რომ შემდეგ მან წარმოუდგინოს კრებას განსახილველათ და დასამტკიცებლად. რეჟისორის თანაშემწეთ არჩეულ იქნა ვას. კუდუხაშვილი. ვუსურვოთ ამ ახალ წრეს გამოიჩინოს მეტი ენერგია კულტურულ საქმისადმი, ვინაიდან თეატრი და სცენა სულიერი საზრდოა მუშებისთვის.

სუფლიორი სილოვანი.

# პროვინცია

**ახალსოფლის საზოგადოება** (გორის მაზრა). ჩვენს საზოგადოებაში და მეზობელ როგორიც არის ბოშნევის და დუმანისის საზოგადოებებში ქართველები და ოსები ერთად ვცხოვრობთ. ძალიან ტკბილადაც ვართ ჩვენ ოსები ქართველ მეზობლებთან. ქართველებთან გვაქვს მრავალი ნათლიობა და მოკეთობა. ჩვენ ქართველებთან ერთად გვაქვს ტყეც, საძოვარიც და გზაც. არც ერთხელ ჩვენ შორის არ ყოფილა განხეთქილება. მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, გვესმის ცუდი ამბები საჩხერიდან. თავზარი დაგვცა ცხინვალის ამბებმა. გაჩნდენ ამისთანა ადგილებში უსინდისო პროვოკატორები და ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდეს. ჩვენში არ არის ასეთი პროვოკატორობა და თუ იქნება, მოვსპობთ და ავლაგმავთ. ვიცით, სადაც არეულობა იყო, ზარალის მეტი მუშა ხალხმა ვერაფერი ნახა, ამისათვის მეზობელ ერებთან ისეთი სიყვარული და კავშირი უნდა გვქონდეს, როგორც გვქონდა და, თუ გვინდა, რომ ბატონი აღარ გვყავდეს, თუ გვინდა, რომ მუშა ხალხმა გაიმარჯვოს.

ჩვენ გვესაჭიროება მაგარი კანონები. ხალხის მტრების წინააღმდეგ თოფ-იარაღიც არის საჭირო და მათრახიც.

ერთი ოროლა ყაჩაღი ჩვენშიაც გაჩნდა და მშვიდობიან მცხოვრებლებს აწუხებდენ. მთავრობისაგან იყო ზომები მიღებული იმათ დასაჭერათ, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. შინაურ მცხოვრებლების შემწეობით ჩამოვიდენ სოფელ ახოტიდან ბელოკლიუჩის მაზრიდან (რადგანაც ყაჩაღი იქიდან იყო) თოვა კოზაევი და მიხა გოდიჩევი და მოჰკლეს ყაჩაღი მიხეილა გაზაევი. სოფ. ოქიანში, ჩვენში, მკათათვის 10 ს, 1918 წ., მოჰკლეს შიგ სოფელში, სადაც იმალებოდა ყაჩაღი ნათესავებში, ხაბალაშვილებში. ყაჩაღის ერთი ამხანაგი გაქცეულა. ამ არეულობასთან ერთად ბუნებაც გვღალატობს. მკათათვის 23 ს ჩვენს საზოგადოებაში ბევრგან მოვიდა სეტყვა და მიწასთან გაასწორა მშვენიერი ნათესები. ზარალი დიდია. ამ ამბით ჩვენი გლეხკაცი ჭირში მოსწყდა. ჩვენს საზოგადოებას რამდენიმე ათასი კოდი და ჭირდება ხორბალი—საიდან და უშველოს თავს არ იცის. ასეთი ჭირნახული ჩვენში არ ყოფილა და ისიც სეტყვამ გაგვიფუჭა. აღარ ვიცით რა ვქნათ, ჩვენს მთავრობას ვსთხოვთ გაგვიხსნას გზები კავკავისაკენ, რომ სიმინდი ჩამოვიტანოთ. აგრეთვე ვსთხოვთ მთავრობას, რომ სასტიკი ზომები მიიღოს ქურდ-ყაჩაღების და ყოველივე ძალადობის წინააღმდეგ, როგორიც არის მიწების ძალით მოხვნა. საყავრესის მიწას ხმარობდენ—ხნავდენ ჩვენი ახალ სოფლის საზოგადოების გლეხები—ლეულები და ნათლიმცემლები. ახლა მთავრობასაც აღარ ჰკითხავენ ხოვლელები და ძალათი მოხნეს. ძალიან საშიშოა ამის გამო ჩვენში უბედურება არ დატრიალდეს. ვშიშობთ, ამან ნაციონალური ხასიათი არ მიიღოს. ამ მოვლენას ჩქარა ყურადღება უნდა მიექცეს.

ხიონ.

**სამტრედია.** გაირჩა საქმე მარნის საზოგადოების ყოფილ კომისრის ვიქტორ სურგულაძის, რომელსაც გოგიშვილი უჩიოდა პირად შეურაცხყოფას და ყალბი მოწმობის გაცემას,—საქმის გამოკვლევა - გამოძიების შემდეგ ს. რ. ტრიბუნალმა ამ საქმეში დამნაშავეთ იცნო უმთავრესად იმავე კომისრის სურგულაძის მწერალი ყალბი მოწმობის დაწერისთვის—ესტატე ქორიძე და მიუსაჯა ერთი წლის ციხეში ჯდომა და სამი წლით უფლების ახდა; ყოფილ კომისარს—სურგულაძეს მიუსაჯა ორი თვით ციხე, თეოფანე გოგიშვილს, რომელმაც ისარგებლა ყალბა მოწმობით, მიესაჯა 6 თვის ციხე, ხოლო როგორც უვიც პიროვნებას მას ეპატია სამი თვე და დანარჩენი სამი თვის სასჯელის ნაცვლად 900 მან. ჯარიმა, 600 მანეთის ჯარიმა გადახდა სასჯელის ნაცვლად აგრეთვე ბიკტორ სურგულაძესაც. ბესარიონ გოგიშვილის პირადი საჩივარი სამხ. რევ. ტრიბუნალმა მოსპო.

ამავე დღეს ს. რ. ტრიბუნალმა გაარჩია საქმე ს. თიანეთის სასურსათო კომიტეტის წევრების, რომლებსაც ბრალდებოდათ საზოგადო სამსახურის ე. ი. სიმინდის მოგროვების დროს ხალხში სასყიდლათ თავისით ფულის მოგროვება (ორჯელ). ბრალდებულებმა თავი დამნაშავეთ იცნეს. ტრიბუნალის წინაშე იანეთის საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ბრალდებულებზე მსუბუქი სასჯელის გამოტანაზე იშუამდგომლა იმავე კომიტეტის თავმჯდომარემ და მასთან ტრიბუნალის წევრმა ს. კოხრეიძემ, რომელმაც თითონ სასჯელის გამოტანაში პირადათ მონაწილეობა არ მიიღო.

ტრიბუნალმა ყოველივე მიიღო მხედველობაში და მიუსაჯა სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეს—ალექსანდრე კოხრეიძეს ორი თვის ციხე; დანარჩენ წევრებს: ილარიონ და ონისიმე ლეკვეიშვილებს, იოსებ არველაძეს და ერმილე რუხაძეს თითო თვის ციხე ამასთანავე ტრიბუნალმა ყველას უფლება მისცა ჯარიმის სახით სამას-სამასი მანეთი გადაიხადონ თავიურათ.

ამავე დღეს ირჩეოდა საქმე გ. ანდღულაძის, ბორმალოვის და დ. კანდელაკის—ამათ ბრალდებოდათ სახაზინო შაქრის ყიდვა-გატანაში მონაწილეობის მიღება; ტრიბუნალს ამათ შესახებ განაჩენი არ გამოუტანია და საქმის დაბოლოვება გადადვეს, მხოლოდ გ. ანდღულაძეს და ბორმალოვს მიუსაჯეს ციხეში ჯდომა და დ. კანდელაკს კი მისცეს უფლება თავდებ ქვეშ სახლში წასვლისა. საზოგადო ბრალმდებელის ამხანაგმა პროტესტი განაცხადა ტრიბუნალის წინაშე დ. კანდელაკის თავდებ ქვეშ გაშვების შესახებ და ვექილებმა—(ბრალდებულების დამცველებმა) კი იმის შესახებ, რომ ტრიბუნალმა მათ არ მიაღებინა მონაწილეობა საქმის ეიდადების კითხვის გარჩევაში. ტრიბუნალმა თავისი დადგენილება ძალაში დასტოვა. —პ.—

**სენაკის მაზრა.** 30 ივლისს ორი ამხანაგი შეუდექით სამაზრო პარტ. კომ. დავალების ასრულებას, რომელმაც პირვ. საარჩევ. ოლქში პარტ. ინსტრუქტორად დაგვნიშნა. პირ. საარჩევნო ოლქში ხუთი საზოგადოება შედის: ნოსირის, გეჯეთის, ძველი სენაკის, თეკლათის და ჭალადიდის. ჩვენ წინასწარი კრებები უნდა მოგვეხდინა და აგვეხსნა ხალხისთვის ერობის მნიშვნელობა-საჭიროება. ამ კრებებმა ნათლად დაამტკიცა ჩვენი სოციალდემოკრ. პარტიის სიახლოვე ხალხთან. პირველ ყოვლისა ჩვენ შევიარეთ ს. წყემში; თუმცა საქმის დღე იყო, მაგრამ პარტიულ ამხანაგების დახმარებით ორ საათში საკმაო ხალხი მოვაგროვეთ. გავაცანით მომენტი და ერობა; შეკითხვებიც შემოიტანეს და დაგვპირდენ, რომ არჩევნების დღეს, კვირას, ყველანი მივლენ ყუთთან. საერთოდ ჩვენი პარტიის გავლენა იქ დიდია. ეს სოფელი ძლიერ სუფთაა. ყოველივე კულტურულ დაწესებულებას აქ ხალისით ეკიდებიან, ჩვენ მას „პატარა შვეიცარიას“ ვუწოდებთ მეტ სახელად. წყემიდან ნოსირში გადმოვედით. ეს საზოგადოება დიდია, ამიტომ სამ ალაგას დავნიშნეთ კრება; აქაც ადგილობრივ პარტ. ამხან. დახმარებით საკმაო ხალხი დაესწრო. შეკითხვების დროს ხალხი ყურადღებას უმთავრესად ადმინისტრაციის უვარგისობას და მთავრობის ამ მხრივ სისუსტეს აქცევდა. მიწების შესახებაც ხალხი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, ჩვენ დავპირდით მიწების საკითხის გასარკვევად ცალკე კრების მოწყობას. თუ მთავრობას ნაკლებ ნდობით ეპყრობა ხალხი, ეს ზოგიერთ ადმინისტრატიულ პირების მოქმედებას უნდა მიეწეროს. ნოსირის ერთი კუთხე, რომელსაც საჩიჩუის ეძახიან, მართლაც, საიმედოა, არავითარ უკმაყოფილებას იქ ალაგი არა აქვს. აქ ორი-სამი კომისრის დანაშაულს მთელ მთავრობას არ აწერენ. ნოსირის მეოთხე კუთხეში, სადაც ეგრ. წოდ. მემარცხენე ესერების პროვოკაციის ქსელია გაბმული, კრება 3 აგვ. დავნიშნეთ. ეს პარტია და მისი დამქაშები მთავრობის მოქმედებას ძირს უთხრიან პროვოკატორობით. მათ ბოლშევიკებთან ბლოკი შეუკრავთ: სია—ესერების, ხმები—ბოლშევიკების, აი მათი გეგმა! საინტერესოა ამის შემდეგ ს. ჭალადიდი. იმ კუთხეში პროპაგანდისტები ნაკლებად შედიან, ხალხი კარგად ვერაა გამორკვეული. არიან თავად აზნაურები და მსხვილი მიწათ-მფლობელებიც. ეროვნულ-დემოკ. პარტიის წევრებიც გამოჩნდენ ხან აქ, ხან იქ. იგინი უნიადაგოა. ხალხი ჩვენ გვეკიდება თანაგრძნობით. მიწების შესახებ უკმაყოფილება სერიოზულ ხასიათს იღებს. ხალხმა მემამულეებს ტყეები ჩამოართვა, დაბაჟა ხაზინის და ხალხის სასარგებლოდ. ეხლა ხე-ტყის გატანა შეჩერებულია, ხალხში უკმაყოფილებაა, მათი მთავარი სამუშაო ეს იყო. ელიან მიწის მიმღებ კომისიას. მიწის საკუთრებათ დანაწილებას მეტი მომხრენი ჰყავს. ადგილობრივი პარტ. ამხ. ითხოვენ პარტიულ პროპაგანდისტებს. არჩევნებში ხალხი მონაწილეობის მიღებას გვპირდება, სიმინდი ცოტაა. ფუთი ას ოც მანეთად ფასობს. გარდა ამისა ადმინისტრაციამ ერთ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება. სოფლის ახალგაზრდობა, ყოფილი სალდათები, სულ შეიარაღებულია. ამ საზ. ორასამდე „ვინტოვკებია“ გადამალული, საღამოობით სროლას სტეხენ, ხალხი შიშობს ზოგიერთი ვაჟბატონები, ერ. დემ. პარტიის ღვიძლი შვილნი, ითვრებიან და ისვრიან. ჭალადიდის შემდეგ ს. გეჯეთში წამოვედით. იქ მისვლისას ხალხი ბუზივით ირეოდა კანცელიარიის წინ. წინა ღამეს დასცემიან ვიღაც თურქიას და რაიონის კომისარს ყრილობა გაუმართავს. ჩვენ ამით ვისარგებლეთ. და კრება გავაგრძელეთ. ხალხი ბლომათ იყო. „მობალშევიკო“ პირებს გავლენა ეკარგება, დემოკრატიას ძლიერი მთავრობის ხელში ყოფნა ურჩევნია. ადმინისტრაციისთვის შეუფერებელ პირთა სისუსტე თავის დაღს ასვამს. აქ ხალხი რაღაც ორჭოფულ აზრს ადგა.

საერთოდ შეგნება თანდათან იკიდებს ფეხს. ერთად ერთი პარტია, რომელიც ხალხში მუშაობს და ხალხის ჭირვარამზე ზრუნავს, არის ს.-დ. პარტია. ყველგან იჩინა თავი ანარქიამ, გარდა ამ ჩამოთვლილ საზოგადოებებისა. ეს შეგნების ნაყოფია. მხოლოდ საჭიროა მთავრობის სიფხიზლე და სიმტკიცე. მილიციონერებად ბევრი არა საიმედო პირებია, როგორც გადმოგვცეს.

არჩევნების დღეს, კვირას, 4 აგვისტოს ნოსირი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. პარასკევს, 2 აგვისტოს ნოსირმა თავისი ძველი ჩვეულება დღესასწაული „ელიობა“ გადაიხადა, საჯაროდ დიდი ხალხი მოგროვილა, სხვათა შორის შეტაკებაც მომხდარა მთვრალებში, სადაც მილიციონერებსაც მიუღია მონაწილეობა, შედეგი ცუდია:—მოკლულია ერთი და რამოდენიმე დაჭრილი. ყუთთან არჩევნების დღეს ხალხი ნაკლებად გამოცხადდა, უკმაყოფილობამ ფართე ხასიათი მიიღო, ხალხი ითხოვდა მილიციონერების დასჯას. „სულ ვირჩევთ და ვირჩევთ, მაგრამ კარგი არავინ მოგვიტანაო, ყველას ჩვენ ვენდობით და ყველა ჩვენ გვატყუებსო“.—აი საერთო ჩივილი, რომელიც გაისმოდა ხალხში. ბევრი სოფლელები არჩევნების მაგივრად ზევიდან დანიშნას სთვლიდენ უკეთესად. პროპაგანდა-აგიტაციის დიდი მნიშვნელობა აქვს, ადმინისტრაციის გაწმენდა საჭირია.

გ—ლი ქო—ვა.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ს. იაშვილის მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა: „ჰაერი, წყალი და დედამიწა“, გამოცემა მესამე 1918 წ.

(დასასრული)

შემდეგ ავტორი გადადის სხეულების ზოგად თვისებებზე. რა საჭიროა ამაზე აქ საუბარი, ამაზე საუბრობენ ფიზიკაში, სადაც მართლა ადგილი აქვს, მაგრამ მივყვეთ ბ. იაშვილს; მეშვიდე გვერდზე ამბობს: „სხეულების ზოგადი თვისებანი“, „მაგარი სხეულები, სითხე და გაზი“. აქედან შეიტყობთ, რომ არსებობს მაგარი, სითხოვანი და გაზებრივი სხეულები. ეს გახლავთ ნივთიერ სხეულების დროებითი მდგომარეობა და ვერა ვხედავ რაში მდგომარეობს ზოგადი თვისებანი? ბევრიც რომ ეძებოთ, მაინც ვერ იპოვით ზოგად თვისებებს იაშვილის სახელმძღვანელოში. ერთსა და იმავე სხეულს, სხვადასხვა დროს შეუძლია იქონიოს სამი მდგომარეობა, მაგალითად წყალი სითხოვანი სხეულია, ასეთ თავის მდგომარეობას ჰკარგავს გაცივებით, მაგარ სხეულად ხდება; სიტბოთი-კი, გაზობრივ მდგომარეობას იღებს; აგრეთვე ლითონები.

ჩვენ ასე გვგონია, ნივთიერ სხეულების მდგომარეობის ცვლა ზოგადი თვისებაა და რუსულ სახელმძღვანელოშიაც მხოლოდ ამიტომაა საუბარი ნივთიერ სხეულების სამ მდგომარეობაზე და არა „სამი სახის სხეულებზე“.

აქ, როგორც ვხედავთ, ზოგად თვისებებზე ბ. იაშვილმა არაფერი სთქვა. მერვე გვერდზე საუბრობს სხეულების სიმძიმეზე. სხეულების სიმძიმე, რასაკვირველია ზოგადი თვისებაა, მაგრამ აქაც ვერ მიხვდებით, რომ ყოველ ნივთიერ სხეულს დედამიწა იზიდავს და მაშასადამე წონა და სიმძიმე აქვს.

მეცხრე გვერდზე უცნაურ ცნობებს ნახავთ: „გრამის მეათედს დეციგრამს უწოდებენ, მეასედს—სანტიგრამს, მეათასედს—მილიგრამს. ასეთი შედარების შემწეობით შეგვიძლიან სხეულის ნამდვილი სიმძიმე გავიგოთ“.

ავტორი ფრანგების წონის ერთეულებს ასახელებს და ბრძანებს: „ასეთი შედარებით“... რა ნაირი შედარებით? აქ სად იყო შედარება?

ავტორი განაგრძობს: „ნამდვილ სიმძიმის შესახებ“... სხეულის სიმძიმე, ჩვეულებრივ იზომება სხეულის წონით და მგონი ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ ყოველი სხეული ჰაერში ჰკარგავს თავის წონის ნაწილს და მაშასადამე „ნამდვილ წონის“ გაგება შეიძლება მხოლოდ ტორიჩელის სიცარიელეში (пустота), ან სხეულის წონას მიემატება ჰაერის წონა, რომელიც სხეულს უჭირავს და ეს ნაკრები (сумма) ორი რიცხვისა იქნება „ნამდვილი“ სხეულის წონა.

მეათე გვერდზე ავტორი ხმარობს სინდიკის მაგიერ ვერცხლის წყალს. მართალია, ხალხში ასე იხმარება, მაგრამ სამეცნიერო წიგნებიდან ეს სიტყვა სამუდამოთ უნდა გავდევნოთ, რადგან სინდიკი არც „ვერცხლია“ და არც „წყალი“. მეთერთმეტე გვერდზე: „სხეულის სითბოს რაოდენობის (количество) ტემპერატურის გასაგებად იხმარება თერმომეტრი“. ეს წინადადება მეცნიერულ სიმართლეს მოკლებულია, რადგან სითბოს რაოდენობა და ტემპერატურა ერთი და იგივე არ არის.

სითბოს რაოდენობა იზომება კალორიით კალორიმეტრის საშუალებით და ტემპერატურა კი თერმომეტრის გრადუსების საშუალებით.

მე-13 გვერდზე: „როდესაც დედამიწის ერთ ადგილას ცივა, ხოლო მეორე ადგილას ცხელა—მაშინ ჰაერის ორი მიმდინარეობაა“. ჰაერის მოძრაობა ჩნდება ჰაერის სითბოს განსხვავებით კი არა, არამედ ბარომეტრიულ დაწოლის განსხვავებით.

მე-11 გვერდზე ავტორი ეხება ტერმომეტრის გაკეთებას და დუღილის წერტილის დასანიშნად თერმომეტრის მილს ორთქლში სდებს. რის ორთქლში? განა ყველა ორთქლს ყოველთვის ერთნაირი სითბო აქვს?

ან თუ გინდ წყლისას?

შემდეგ ავტორი 0 სა და 80 ს შორის მანძილს 80 თანასწორ ნაწილად ჰყოფს და ციფრებით აღნიშნავს, ნოლის ქვევით, სიცივე როგორღა გავიგოთ?

მე-14 გვ.: „ღრმა წყალში ჩასასვლელად და იქ სამუშაოდ ხმარობენ წყალში ჩასასვლელ ზარს“. თუ ეს მაგალითი იმის დამამტკიცებელია, რომ ჰაერს, როგორც ნივთიერ სხეულს განსაზღვრული ადგილი უჭირავს, ამისათვის საკმარისია ზევით მოყვანილი მაგალითი (ჭიქის გადმოპირქვავება წყალში) და თუ ავტორს უნდა ეთქვა, რომ ღრმა წყალში შეიძლება მუშაობა—მაშინ ავტორი მეცნიერებას ძლიერ ჩამორჩენია, რადგან ამ 30 წლის წინეთაც, წყალში ჩასასვლელად ზარს აღარ ხმარობდნენ, არამედ ხმარობენ ვესონებს და სკაფანდრებს; უკანასკნელი რეზინის ტანისამოსია და ზედ მოჭერილია მუშიანი ზუჩი (шлемъ); მე ვგონებ ყველას ნანახი ექნება სურათებიან ჟურნალში. მე 16 გვ. ავტორი ბარომეტრზე საუბრობს: „ცოტაოდენი ნაწილი ვერცხლის წყლისა მილიდან ჯამში ჩაიღვრება, ხოლო მილში ვერცხლის წყალი 30 დიუმის სიმაღლეზე დადგება“.

ეს უცოდინარობაა, თუ უფიქრელობა?! განა ასე ხდება, მაგალითად, გორში, სურამში, თფილისში და ყაზბეგის მთაზე? ავტორი ბრძანებს, რომ ბარომეტრით ჰაერის დაწოლას ზომავენო—და თან გვეუბნება: „ჰაერის დაწოლა თუ გაძლიერდა, ვერცხლის წყალი მილში აიწევს, ხოლო თუ დაწოლამ იკლო, მაშინ ვერცხლის წყალი მილში დაიწევს“. განა ეს ზომვა არის? როცა ვამბობთ „გაზომე“—ეს ნიშნავს—„გაიგე რამდენი ზომის ერთეულია მოცემულ ოდენობაში“.

სინდიკის აწევ-დაწევა ზომვა კი არ არის, არამედ მოვლენის შემჩნევაა. შეგვიძლიან გავიგოთ წონით, რამდენად აწევა ჰაერი ერთ კვადრ. დიუმს ანუ კვადრ. სანტიმეტრს, როცა სინდიკი მილში სდგას 76 ს-მ (сантим.) სიმაღლეზე ქვევით ან ზევით.

უეჭველია ამის განმარტებას ავტორი მასწავლებელს შემოახვევს კისერზე; სრულიად აიას ამბობს ბარომეტრის მნიშვნელობაზე მთების სიმაღლის ზომვასა და დარის წინასწარმეტყველობაში. თუ ბარომეტრის განმარტებას ავტორი მასწავლებელს უტოვებს, უეჭველია ავტორის ზოგიერთა ტერმინების ახსნაც მასწავლებელს დასჭირდება: მჟავბადი, ნახშირმჟავა, ვერცხლის წყალი, მადანი, ზენიადაგი და ბევრი სხვა, რომელიც არ ეფერება ტერმინის გამოხატვას. მაგალითად „მჟავბადი“. რომელ მჟავას ჰბადავს ეს გაზი?

მჟავა არის რთული სხეული, რომელშიაც წყალბადია და რაიმე ლითონით შეიძლება გამოძევება. განა არა სჯობს „ჟანგბადი“,*) რადგან იგი მართლაც, რომ ჟანგს ჰბადავს. მერე—„ნახშირ მჟავა“. განა ნახშირ ორჟანგი (двуокись углерода) მჟავაა?

სად არის მასში წყალბადი?

მოგეხსენებათ იგი შესდგება ნახშირბადისა და ჟანგბადისაგან და რუსების მაგალითი ჩვენთვის სავალდებულო არ არის. თვით Менделѣевъ-ი ხმარობს: „двуокись углерода“.

რადგან ზევით შევეხე ზენიადაგს, ვიტყვი რომ, ავტორი ხანდიხან ფილოლოგიურ სწავლასაც იჩენს ასოების გამოტოვებით: „ზენიადაგი“ „ნიადაგად გარდააქცია.

მე 42 გვ. ამბობს: ...„ჰქვიანზე - ნიადაგი, ზედაგი ან ნიადაგი“. არ მეგონა უბრალო ასოების გამოტოვებით „ზენიადაგი“ „ნიადაგად“ გარდიქცეოდა.

„ნიადაგი“ ნიშნავს უცვლელობას, შეურყევლობას და ამ სიტყვით აღინიშვნება მიწის ქვედა მხარე, საცა ნაკლებ ხდება ცვლილება. ჩვენი სოფლელებიც ნიადაგს ხმარობენ ამავე მნიშვნელობით; საძირკვლის გათხრის დროს რომ ჰკითხოთ:—სადამდის უნდა თხაროო—გეტყვის: „ნიადაგამდეო, ნიადაგზე უნდა დაიდგას საძირკველიო“. თუ ნიადაგი უცვლელი ქვედა მხარეა მიწისა, ზენიადაგი იქნება ზედა მხარე ნიადაგისა.

მე მხოლოდ სახელმძღვანელოს 16 გვერდს გადავავლე თვალი, ისიც ოდნავ და ვხედავ, რომ ბლომად დავწერე. მეშინია რედაქტორი დიდ წერილს არ გაუშვებს და თან მთელი სახელმძღვანელოს გასინჯვა იქნებ „მოკლე ბუნების მეტყველების წიგნზე“ მეტი გამოვიდეს და ამიტომ წერტილს ვსვამ და მხოლოდ მოვითხოვ პასუხი გასცეს ჩვენ საზოგადოებას იმან, ვისაც ეს წიგნი მოეწონა.

მ. ზაალიშვილი.

*) პროფ. პეტრიაშვილიც ასე ხმარობს.

## ცნობები

ვანო ისიდორის ძე ნიკოლაძე მსახურებდა ი. გედევანიშვილის რაზმში, იღებდა მონაწილეობას დუშეთის ოპერაციაში, როგორც გავიგე, ბანაობის დროს დამხრჩვალა მდ. მტკვარში, თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ნაძალადევი, ახვერდოვის მამული, სახლი ბასკუტნისა № 2 ამვროსი თ. ნიკოლაძეს.

## რკინის-გზის მიმოსვლა

თფილისიდან გასვლა (ადგილობრივი დროით).

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთისაკენ | № 23 | დილის | 7 |
| „ | № 3 | დღის | 10 |
| ქუთაისისკენ | № 9\|10 | საღამ. | 7 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 |
| „ | № 8 | დღის | 3 |
| სანაინისკენ | № 4\|3ც | დღის | 1 |
| **თფილისში მოვა:** | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 |
| ქუთაისიდან | № 11\|12 | დილის | 6 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 |
| „ | № 7 | დღის | 8 |
| სანაინიდან | № 4ც\|3 | დილის | 11 |


**მოსკოვში და პეტროგრადში** მიემგზავრება 23 აგვისტოს სანდო ...რი. მიიღებს წერილებს და მინდ... ბილებებს. მიმართეთ 12—2 ს. Р... „Борьба“ секретарю. (2—

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი** იღებს ქალების და ქირურგიულ სნ... ლებით ავათმყოფთ დილის 9—11 საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლ... ქუჩა, 41. ტელ. № 9 53. (24—

**ექიმი ი. გ. კონიევი.** იღებს შინაგან სნეულებით ავათმყო... საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდ... უბნის ქ. № 3. (24—

**კერძო მიხეილის საავადმყოფო** მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მ... ღება ყოველ დღე დილის 10 საათიდ... მიხეილის პროსპექტი, 167.

**ქალ. ქუთაისში** (მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან) ქირურგიული და ქალთა სნეულებ... საავათმყოფო სამშობიარო განყ... ფილებით. დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოვ... დროს. (24—

**ექიმი ზ. გ. მუხაძე** იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამ... 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მ... სამართი: ლადო მთავრის ქ. № 57; ... ცერეთ ეკონომიურ საზ. შენობის პ... დაპირ, საზ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—7

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულ... სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ... ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ... ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღ... მოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცი... და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 1... ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**ექ. ქალი ჩ. ზ. შიშლო-საგაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივ... სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქ... რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოვ... დღე შინაგან, ქალურ და ვენერიუ... ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით და... გებას. სიფილისის წამლობა ახალი მ... თოდებით. დილის 10—12 ს. და საღ... მოს 6 7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩ... (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74


## განცხადება

ღვინით მოვაჭრეთა გამგეობა (ბაღებეს პატრონთა) აუწყებს ქ. თფილისში ღვინით მოვაჭრეთ, რომ თანახმათ ქალაქის გამგეობის დადგენილებისა (3 ივლის 1918 წ.) ნება ეძლევათ თავისუფალი ვაჭრობისა იმათაც, რომელთა ღვინის რაოდენობა არ აღწევს 1000 ვედრას, იმ პირობით კი, რომ ისინი წინ-დაწინ შეიტანენ დადგენილ გადასახადს იმ ღვინოზე, რომელიც აქვთ საწყობებში; დღეიდან ღვინის მოსატან „ნაკლადნოიზე“ გადასაცემი წარწერის გაკეთებამდე მიმღებ ვალდებულია შეიტანოს მთელი ღვინის გადასახადი. ეს უკანასკნელი არ ანთავისუფლებს შემოტანილ ღვინოზე აქტების შედგენიდან. გამგეობა სთხოვს ყველა მტკიცეთ დაიცვას ზემოხსენებული დადგენილება.

გამგეობის თავმჯდომარე.

## განცხადება

ვმსახურობდი ალექსანდროპოლში. თათრების შემოტევის დროს უთავბოლო გამოქცევის გამო დავკარგე პასპორტი შერმანდი სიხარულიძის სახელზე, ფოტოგრაფიული სურათი რკინის გზის სამართველოსაგან მოცემული და სხვადასხვა ქვიტანციები, რომელნიც ჩემთვის ძლიერ საჭიროებას შეადგენდენ. ამიტომ მპოვნელს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სად. ფოთი, დეპო, შერმანდი მიხეილის ძე სიხარულიძეს, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

## განცხადება
## ბორჯომის წყლის მყიდველების საყურადღებოთ.

ჩვენს წარმომადგენლებთან როგორც თფილისში აგრეთვე ყველა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებში იყიდება ბორჯომის წყალი დიდი ბოთლი თავისი ბოთლიანათ არა უმეტეს ორი მანეთისა. აგრეთვე ვაცხადებთ წვრილი მოვაჭრეების საყურადღებოთ, რომ ვინც ბორჯომის წყალს დიდ ბოთლიანათ ორ მანეთ ნახევარზე მეტათ გაყიდის მათ წყალი აღარ მიეცემათ. ვთხოვთ მყიდველებს, რომელ სავაჭრომაც ზემო აღნიშნულ ფასზედ ზევით გადაგახდევინოთ, გთხოვთ გვაცნობოთ ბორჯომში ღია ბარათით.

10—5

პატივისცემით დ. ე. ქებაძე.

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.